



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტ ნანა კალანდაძის

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: “მოტყუებით დადებული გარიგების ობიექტური შემადგენლობა და
დუმით მოტყუება“

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, სამართლის
დოქტორი.

თბილისი

2019

სარჩევი

I შესავალი.....	1
II ძირითადი ნაწილი.....	5
1.გარიგების არსი და მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში.....	5
1.1. გარიგების ცნება.....	5
1.2.ნების გამოვლენა.....	6
1.3.ნების ნაკლი.....	9
1.3.1 მოტყუებით დადებული გარიგება, როგორც ნების ნაკლის კერძო შემთხვევა.....	10
2.მოტყუებით დადებული გარიგების ობიექტური შემადგენლობა.....	12
ა. მცდარი წარმოდგენის შექმნა ან განზრახ ფაქტების დამახინჯება.....	12
ბ. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.....	15
3.დუმით მოტყუება.....	17
3.1 გამუღავნების ვალდებულება.....	19
3.2.ინფორმაციის მინოდების ვალდებულება სსკ-ის 318-ე მუხლის მიხედვით.....	22
4. მოტყუებით დადებული გარიგების სუბიექტური შემადგენლობა.....	23
4.1 ზიანის მიყენების და სარგებლის მიღების მიზნის ირელევანტურობა.....	27
5. მოტყუება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტი.....	28
6. მოტყუება მესამე პირის მხრიდან.....	29
ა.მესამე პირი.....	30
ბ.სარგებლის მიმღები.....	32

გ. შეცილების ადრესატი.....	33
6.1. ორმხრივი ტყუილი.....	33
7. მოტყუებით დადებული გარიგების გამიჯვნა თაღლითობისგან.....	34
8. მტკიცების ტვირთი.....	37
9. შეცილება.....	39
9.1 შეცილების უფლების გამომრიცხავი გარემოებანი.....	41
ა. ერთნაირი ვადის გასვლა.....	41
ბ. უფლების პრეკლუზია.....	41
გ. დადასტურება.....	42
10. კონკურენცია სხვა სამართლებრივ ნორმებთან.....	43
ა. შეცდომით და მოტყუებით დადებულ გარიგებათა კონკურენცია.....	44
ბ. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი მეორადი მოთხოვნებისა და მოტყუებით დადებულ გარიგებათა კონკურენცია.....	44
გ. კანონსაწინააღმდეგო და მოტყუებით დადებულ გარიგებათა კონკურენცია.....	45
დ. დელიქტური სამართლის ნორმების და მოტყუებით დადებული გარიგების ნორმათა კონკურენცია.....	46
III დასკვნა.....	47
ბიბლიოგრაფია.....	53

I შესავალი

სამართლისთვის მნიშვნელოვანი როლი აკისრია გარიგებების ინსტიტუტს, იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზების საშუალებას.¹ დღესდღეისობით ადამიანები არაერთ განსხვავებულ გარიგებებს დებენ, თითოეული მათგანი, ბუნებრივია ვერ იქნება სამართლებრივად გამართული, შესაბამისად წარმოიშვება ნების ნაკლი, რომლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოტყუებით დადებული გარიგება.

სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალურობა

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოტყუებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები, აქედან გამომდინარე მოტყუებით დადებული გარიგება არის საცილო გარიგებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მეტად განსახილველი საკითხი, არამარტო სასამართლო პრაქტიკაში, არამედ იურიდიულ ლიტერატურაში. მოტყუებული მხარის დაცვა კიდევ უფრო აქტუალური გახდა სწორედ გაზრდილი მოტყუებაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობით, შესაბამისად აუცილებელია სასამართლოს როლი ერთგვაროვანი და სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

დღის წესრიგში დადგა მეორე მხარის კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით ნდობის და ნების გამოვლენის თავისუფლების² განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა თანამედროვე პირობებში არსებული ჭარბი ნაკლიანი გარიგებების არსებობის ფონზე.

აგრეთვე, საკმაოდ პრობლემატურია პრაქტიკაში გამიჯვნის საკითხი, სადავო ურთიერთობა უნდა შეფასდეს სამოქალაქო სამართლებრივ ჭრილში თუ განხილულ უნდა იქნეს სისხლისამართლებრივი წესით, რამეთუ მოტყუების ფაქტი არის შემადგენელი ნაწილი, როგორც სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ქმედების, კერძოდ თაღლითობის, აგრეთვე მოტყუებით დადებული გარიგების.

სამაგისტრო ნაშრომის თემის მიზანი

¹ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ 290.

² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, 1-ლი ველი.

თემის მიზანია მოტყუებით დადებული გარიგების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა და სამართლის მეცნიერებაში განვითარებული მიდგომების შესწავლა. ამასთანავე, ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა უცხოური სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის საკვლევ პრობლემატიკას წარმოადგენს განისაზღვროს, თუ რა სახის დუმილი განაპირობებს მოტყუებით დადებული გარიგების წარმოშობას, თუ ვინ უნდა იქნეს მიჩნეული მესამე პირად, აგრეთვე, მოთხოვნათა კონკურენციის პირობებში შესაფერისი მოთხოვნის შერჩევა. შესაძლებელია ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიდგომა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებებთან ვერ მოდის სრულ თანხვედრაში, ეხება აღნიშნული „თვალსაჩინოების სტანდარტსა“ და მომტყუებლის განზრახვის უგულებელყოფას ნების გამომვლენის მიერ გარიგებაზე ხელმოწერის დროს, რაც ეჭვქვეშ აყენებს დარღვეული უფლების დაცვის საკითხს.

კვლევის მეთოდები

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ, ლოგიკური, ძირითადად კი იურიდიული კვლევის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს, რადგან კარგად წარმოჩინდება ეროვნული კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მოტყუებით დადებული გარიგების სასამართლო პრაქტიკა, როგორც ქართული, ასევე უცხოური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის ათი თავისა და დასკვნისაგან.

პირველი თავი ეხება გარიგების არსსა და მნიშვნელობას. იმის გათვალისწინებით, რომ გარიგება ქართულ სამართალში გაიგივებულია ნების გამოვლენასთან, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, აქვე

განხილული იქნება ნების გამოვლენა მისი სახეებით და მოტყუებით დადებული გარიგება, როგორც ნების ნაკლის კერძო შემთხვევა.

მეორე თავში განხილული იქნება მოტყუებით დადებული გარიგების ობიექტური შემადგენლობის ელემენტები, რომელთა არ არსებობა გამორიცხავს გარიგების ბათილობის მოთხოვნას მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე. ესენია: მცდარი წარმოდგენის შექმნა ან განზრახ ფაქტების დამახინჯება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

მესამე თავი ეთმობა ღუმილით მოტყუებას, როგორც უმოქმედობით განხორციელებულ მოტყუებას. ღუმილით მოტყუებასთან მიმართებით კი გაანალიზებული იქნება გამჟღავნების ვალდებულება და ინფორმაციის მინოდების ვალდებულება სსკ-ის 318-ე მუხლის საფუძველზე. ღუმილით მოტყუება, ასევე, განხილული იქნება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.

მეოთხე თავში განხილული იქნება მოტყუებით დადებული გარიგების სუბიექტური შემადგენლობა, რამეთუ ცალკე აღებული მოტყუების ფაქტი არ არის საკმარისი გარიგების საცილობისთვის, არამედ აუცილებელია გარიგების დადების მიზნით „მომტყუების ნება“ და რეალური ზემოქმედება ნების გამომვლენზე. ამავე თავი ეხება მსჯელობას, ზიანის მიყენების და სარგებლის მიღების მიზნის ირელევანტურობას, როგორც სუბიექტურ კატეგორიას.

მეხუთე თავში მოტყუება მიმოხილული იქნება, როგორ მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტი, რამდენადაც ნების თავისუფლების ხელყოფა ქმედებას ავტომატურად მართლსაწინააღმდეგოს ხდის.

მეექვსე თავში განხილულია მესამე პირის ინსტიტუტი მოტყუებით დადებულ გარიგებაში და ის პრობლემები, რასაც წარმოშობს სამოქალაქო კოდექსში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერი მესამე პირთან მიმართებით.

მეშვიდე თავი ეხება მოტყუებით დადებული გარიგების გამიჯვნას თაღლითობისგან, რადგან მათი შემადგენლობები საერთო ელემენტების მიუხედავად ერთმანეთს მაინც არ ფარავს, შესაბამისად დგება საკითხი დავა სისხლისამართლის წესით უნდა გადაწყდეს, სამოქალაქოს თუ ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

მერვე თავი დათმობილია მტკიცების ინსტიტუტზე, იმდენად, რამდენადაც იგი მნიშვნელოვნად წყვეტს დავის დასრულების შედეგებს, განხილული იქნება მტკიცების ტვირთის სტანდარტი და მასში შემავალი ელემენტები, რომლის არსებობას სავალდებულოდ მოითხოვს სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისთვის.

მეცხრე თავში განხილულია შეცილების ინსტიტუტი და მასთან შეცილების გამომრიცხავი გარემოებანი, როგორცაა ერთნლიანი ვადის გასვლა, უფლების პრეკლუზია და დადასტურება.

დაბოლოს, მეათე თავი ეხება მსჯელობას მოთხოვნათა კონკურენციის თაობაზე, რამეთუ მოსარჩელეს მოთხოვნები შესაძლებელია კონკურირებდეს ერთმანეთს, მათ შორის არჩევანი კი უნდა გაკეთდეს მოსარჩელის ინტერესებიდან გამომდინარე. მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმების კონკურენცია განხილული იქნება შეცდომის, სახელშეკრულებო ვალდებულებიდან წარმოშობილი მეორადი მოთხოვნების, კანონსაწინააღმდეგო და დელიქტური სამართლის ნორმებთან მიმართებით.

II ძირითადი ნაწილი

1. გარიგების არსი და მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში

მოტყუებით დადებული გარიგების სრულყოფილი ანალიზისთვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია განისაზღვროს თავად გარიგების ცნება, თუ რას მოიაზრებს სამოქალაქო კოდექსი და რა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს მას. უნდა დადგინდეს ნების გამოვლენის და გარიგების ურთიერთმიმართება, იმდენად, რამდენადაც მოტყუებით დადებული გარიგება ნების ნაკლის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს.

1.1 გარიგების ცნება

გარიგება კერძო სამართლის უზოგადესი ცნებაა, რომლის გამოყენებაც ხდება არამართო სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა დარგებშიც.³ იგი წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლების და კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას.⁴ გარიგების ცნება მომდინარეობს ზოგადი ცნებისგან, რომელიცაა „ადამიანის მოქმედება“, იურისპრუდენციაში კი სახელდებადნენ, როგორც „სამართლებრივ მოქმედებებსა“ და „სამართლებრივ გარიგებებს“.⁵ ძველი ქართული სამართლისთვის გარიგების ცნებას ბევრად ფართო გაგება ჰქონდა, ვიდრე თანამედროვე სამოქალაქო სამართალში აქვს მას. ამ ცნების სამოქალაქო კოდექსში განერა განაპირობა კერძოსამართლებრივი ინსტიტუტების მონესრიგებამ.⁶ გარიგების ცნება საკანონმდებლო დონეზე გაიწერა საქსონიის სამეფოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის 88-ე პარაგრაფის თანახმად „თუ მოქმედების ნება მიმართულია იმაზე, რომ კანონებთან შესაბამისობით დამყარდეს, შეწყდეს ან შეიცვალოს სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ ეს მოქმედება გარიგებაა“.⁷ სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად “გარიგება ეს არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის

³ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ 292-293; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ 191.

⁴ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 290; ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 50, 1-ლი ველი; BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p.4.

⁵ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 234

⁶ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 290-291.

⁷ იქვე, გვ. 235.

წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ”, აქედან გამომდინარე ნების გამოვლენა არის გარიგების დისპოზიციის აუცილებელი კომპონენტი, ძირითადი ბირთვი, რომლის არ არსებობის პირობებში სახეზე არ გვაქვს გარიგება.⁸ თუმცაღა მხოლოდ და მხოლოდ ნების არსებობა არ არის საკმარისი, იმისთვის რომ გარიგების არსებობაზე ვისაუბრობთ, არამედ მნიშვნელოვანია ნების გამოვლენის საკითხი და მეტიც ნების გამოვლენა იმგვარი უნდა იყოს, რომ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობდეს, ცვლიდეს ან წყვეტდეს. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იზიარებს ნების თეორიას გარიგებებთან მიმართებით და ფაქტობრივად გარიგებას, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს აიგივებს ნების გამოვლენასთან.⁹ ნების გამვლენის ვარგისიანობა განისაზღვრება სხვადასხვა საფუძვლით, რომელიც სხვადასხვა კანონითაა მონესრიგებული, მათ, როგორც წესი „გარიგებათა სამართლებრივ პრინციპებად“ მოიხსენიებენ.¹⁰ ნიშანდობლივია, რომ ნების გამოვლენაში უნდა იგულისხმებოდეს მართლზომიერი ნების გამოვლენა, თუმცაღა სამოქალაქო კოდექსისთვის უცხო არ არის არამართლზომიერი ნების გამოვლენის შემთხვევებიც, როგორცაა განსახილველი თემა, მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევა. მართალია ეს უკანასკნელი ბათილი გარიგებაა, მაგრამ უდავოა, რომ ნების გამოვლენას ჰქონდა ადგილი.¹¹

1.2 ნების გამოვლენა

ნების გამოვლენით მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი მიზნები სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მოაქციონ. თუმცაღა მართლაც ნების გამოვლენა, თუ იგი არ იქნება ნამდვილი ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.¹²

⁸ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 293; ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 50, მე-3 ველი.

⁹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 50, გვ. 166; ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 291.

¹⁰ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 293.

¹¹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 50, გვ. 168;

გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), გ.თუმანიშვილი, 2012, გვ. 5.

¹² კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 4; ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 319.

გერმანული და ნიდერლანდების სამართლის მიხედვით ნების გამოვლენა გაიგივებულია გარიგების ცნებასთან. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3:33-ე მუხლის შესაბამისად, „გარიგება არის სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული ნება, რომელიც გამოიხატება გამოვლენის მეშვეობით.“, ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად „გარიგება ნების გამოვლენაა. ნება ვლინდება, რათა დადგეს სამართლებრივი შედეგი, და სამართლებრივი სისტემა უშვებს აღნიშნული სამართლებრივი შედეგის დადგომას, იმდენად, რამდენადაც იგი გარიგების ავტორისთვის არის სასურველი“¹³

ნების თავისუფლების პრინციპის და კერძო ავტონომიის რეალიზება ყველაზე კარგად პირის მიერ ნების გამოვლენისას ჩნდება. პირი თავად განსაზღვრავს მისი ამა თუ იმ მოქმედებითა თუ უმოქმედობით რა სამართლებრივი შედეგი უნდა დადგეს. ნება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით იქნეს გამოხატული, ფხიზელ, ან გარკვეული ფაქტების ზემოქმედების მეშვეობით. თუმცაღა, ბუნებრივია ყოველგვარი ფორმით გამოხატული ნება არ არის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების წარმომშობი. მაგალითად ძილში ან ჰიპნოზში გამოხატული ნება არ არის დაცვის ღირსი ნების გამოხატულება, რამდენადაც მას არ გააჩნია ნების მიმღები და არ გამომდინარეობს პირის ცნობიერიდან.¹⁴ ნების გამოვლენის ინსტიტუტის გააზრება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არასწორად გამოვლენილი ნება ან არასწორად გაგებული ნება წარმოშობს ნების ნაკლს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მის ბათილობას.

ნების გამოვლენა ბუნებრივია სამართლებრივი კატეგორიაა და მისი შეფასება სამართლებრივი ნორმების ჭრილში ხდება, თუმცაღა მისი გააზრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფსიქოლოგიასთან, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აქტუალურია სამართლებრივ ურთიერთობებში ნების ნაკლი და ნაკლული ნებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების

¹³ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 236

¹⁴ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 318; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ. 192.

განსაზღვრის საკითხი. ნების გამოვლენა, მომდინარეობს პირის შინაგანი სამყაროდან და შესაძლებელია იგი სხვადასხვა ფორმით იქნეს გადმოცემული.¹⁵

ნების გამოვლენა გადის რამოდენიმე ეტაპს, რომლის სრულყოფილად, ანუ უნაკლოდ გავლის შემდგომ სახეზე გვაქვს ნების გამოვლენა, რომელიც არ შეიძლება გახდეს საცილო მისი უნაკლოობიდან გამომდინარე.¹⁶ პირველ ეტაპზე პირს უჩნდება მიზანი, რომლის სისრულეში მოსაყვანად ცდილობს სამართლებრივი საშუალებების მოძიებას, მეორე ეტაპზე არჩევს სასურველ კონტრაქტს, რომელთან ურთიერთობაც მას მისცემს მისი ნების რეალიზების საშუალებას. მესამე ეტაპზე კი შინაგან, სუბიექტურ ნებას აძლევს ობიექტურ ფორმას მისი გარიგების მეორე მხარისადმი გამოხატვით.¹⁷ ამდენად უნდა გაიმიჯნოს „მოქმედების ნება“, გამოვლენის ნება“ და სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება“¹⁸

„მოქმედების ნება“ არის ის აუცილებელი კომპონენტი, რომლის გარეშეც ნების გამოვლენა ვერ იარსებებს, თუმცა იგი უნდა იყოს გაცნობიერებული და მომდინარეობდეს პირის შინაგანი ნებიდან. მოქმედების ნებას ვერ მოვიპოვებთ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებს, რადგან ნების გამომვლენი ფაქტობრივად ვერ აცნობიერებს მის მიერ განხორციელებულ ქმედებას, რომელიც გარეგნულად შესაძლებელია ნების გამოვლენად შეფასდეს.¹⁹ ნების გამოვლენა ფიზიკური იძულებისას არ არსებობს და მას აქედან გამომდინარე ვერც ნების ნაკლად მივიჩნევთ. რაც შეეხება ფსიქიკურ იძულებას ნების გამოვლენა, მართალია იძულების შედეგად არის გამოწვეული, მაგრამ ნების გამოვლენა არ არის სადავო, თუმცა იძულების მომენტი ნაკლულს ხდის მას.

“გამოვლენის ნება“ არის „მოქმედების ნების“ განვითარება, ამ დროს იგი მზადაა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისთვის, მაგრამ სამართალი

¹⁵ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 317; გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), გ. თუმანიშვილი, 2012, გვ. 8.

¹⁶ კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 4.

¹⁷ იქვე, 5.

¹⁸ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 239; კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 5-6.

¹⁹ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 239

იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც „მოქმედების ნება“ და „გამოვლენის ნება“ ცდება ერთმანეთს და არ მოდის თანხვედრაში. აღნიშნულის ცნობილი მაგალითია აუქციონზე ხელის აწევა, არა აუქციონის მიზნებიდან გამომდინარე, არამედ მეგობრის დასაძახებლად. მართალია ამ შემთხვევაში პირს სურდა ნების გამოვლენა, მაგრამ იგი არ იყო მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისკენ მიმართული.²⁰

დაბოლოს, „სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება“ , ეს არის ის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც პირის სურვილი მიმართულია განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების წარმოშობისკენ, მაგრამ გამოვლენის ნების ფორმირება იძლევა სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების დადგომის წარმოშობის საფუძველს, რაც არ მოიაზრებოდა პირის სურვილში.²¹

გერმანული სამართლი განასხვავებს ნების სუბიექტურ და ობიექტურ შემადგენლობას. სუბიექტური მოცემულობა გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც უნდა იყოს როგორც წესი პირის შნაგანი ნება-სურვილის გამოხატულება, ხოლო ობიექტური კრიტერიუმი არის, ის გაცხადებული მოქმედება, რომელიც ადასტურებს პირის ნებას გრიგების წარმოშობაზე.²²

როგორც ვხედავთ ნების გამოვლენის ინსტიტუტი არის საკმაოდ პრობლემატური და წარმოშობს ნების ნაკლს, სამყაროში არსებული მრავალფეროვანი ურთიერთობების და განსხვავებულ ნებათა არსებობის პირობებში. შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება თუ ვისაუბრებთ ნების ნაკლზე და ამ ჭრილში განვიხილავთ მოტყუებით დადებულ გარიგებას.

1.3. ნების ნაკლი

ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპი სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირებს ანიჭებთ სრულ თავისუფლებას თავად განსაზღვრონ თუ რა ტიპის სამართლებრივ ურთიერთობაში შევლენ და თუ ვინ იქნება კონტრაჰენტი. ბუნებრივია, რომ თითოეული მოქალაქეს მიზანია მისი

²⁰ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 240; კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 6.

²¹ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 240

²² კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, §116 მე-2 ველი.

სურვილისამებრ წარმოიშვას და შეწყდეს ესა თუ ის ურთიერთობა, თუმცაღა აღნიშნული ვერ იქნება უპირობა თავისუფლების მიმნიჭებელი, იმდენად, რამდენადაც გარიგების დროს სახეზე გვაყვს ორი მხარე, რომელთა ინტერესებს თანაბრად იცავს სამართალი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია „მხარეთა ინტერესების სმართლიანი დაბალანსება“²³ როგორც უკვე აღვნიშნეთ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, როცა გარეგნულად გამოვლენილი ნება თანხვედრაში მოდის შინაგან ნებასთან. ამდენად, ყოველ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი შემთხვევა არ გვაქვს, გაუმართლებელია მხარის დავალდებულება, თუმცაღა, მეორე მხრივ პრობლემატურია ნების მიმღების კანონიერი ნდობის ინსტიტუტი, რომელიც, ასევე, საჭიროებს დაცვას. ყოველივე აქედან გამომდინარე სამართალი იცნობს სხვადასხვაგვარ ნების ნაკლს და თითოეულს განსხვავებულად აწესრიგებს.²⁴ ნების ნაკლზე მსჯელობისას იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ნების „ნაკლულ ფორმირებას“ და ნების „ნაკლულ გამოვლენას“. განვიხილოთ თითოეული მათგანი. ნების ნაკლულ ფორმირებასთან გვაქვს საქმე, როდესაც შინაგანი, სუბიექტური ნების ფორმირება ხდება არასწორად. ამ დროს პირი, როგორც წესი უსაფუძვლოდ ამყარებს იმედს გარკვეული გარემოებებზე, რომელებც რეალურად არ არს ჭეშმარიტი. რაც შეეხება ნების ნაკლულ გამოვლენას, ამ შემთხვევაში ნების გამოვლენის დროს დაშვებულია შეცდომა, ფაქტობრივად სწორად ფორმირებული ნება ცდება რეალობას მისი ობიექტური ფორმით გამოხატვის დროს.²⁵ ნების ნაკლის წარმომშობი მიზეზები შეიძლება სხვადასხვა იყოს, რადგან ნების ფორმირების ეტაპზე შესაძლებელია ამა თუ იმ ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მისი არასწორი ინტერპრეტაცია. შესაძლებელია გაცნობიერებული და გაუცნობიერებული ფორმითაც. კონტრაქტების იძულებისას ნების ნაკლის შემთხვევებს წარმოადგენს, შეცდომით დადებული გარიგება, მოტყუება და იძულება.²⁶

²³ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 231. BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p.192.

²⁴ კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 9.

²⁵ იქვე.

²⁶ ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ურნალი #2, 2011, გვ 193; სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 206.

1.3.1 მოტყუებით დადებული გარიგება, როგორც ნების ნაკლის კერძო შემთხვევა

მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში ადგილი აქვს პირზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტს, რომელიც იწვევს ნების იმგვარ გამოვლენას, როგორსაც გეგმავს მომტყუებელი. ნების გამომვლენი ფაქტობრივად ასრულებს იმას, რასაც მეორე მხარეს ისახავს მიზნად, იმდენად, რამდენადაც იმყოფება მისი გავლენის სფეროში. მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედება ნების გამომვლენისთვის იმდენად შეუმჩნეველი არის, რომ ნების გამვლენის დროს იმედოვნებს, რომ მას გარკვეულწილად გაუმართლა და მისი მიზნის შესაბამისი შედეგები დადგება გარიგების დადებისთანავე.²⁷ მოტყუების, როგორც ნების ნაკლის შემთხვევის მაგალითია, როცა ნების გამომვლენს კონტრაჰენტი მიაჩნია შესაკუთრედ, რომლისგანაც იგი აპირებს კონკრეტული ქონების შექმნას, თუმცა მათ მიუხედავად მათ შორის ხელშეკრულების არსებობისა კონკრეტული ფართის შექმნის თაობაზე, იგი ვერ იქნება იურიდიული ძალის მქონე, რადგანაც საკუთრების უფლება მინის ნაკვეთზე ეკუთვნის არა ხელშეკრულების მეორე მხარეს, არამედ სხვას. ნების მიმღებმა ცრუ ინფორმაციის საშუალებით დაიყოლია ნების გამომვლენი ხელშეკრულების დადებაზე.²⁸ აქედან გამომდინარე მოტყუების ფაქტი იწვევს ნების ნაკლს, რაც ხდება საცილობის საფუძველი. ნების ნაკლს წარმოადგენს იძულების შემთხვევაც, თუმცა და მოტყუებასა და იძულებას შორის ერთი არსებითი განსხვავებაა, კერძოდ იძულების დროს ნების გამომვლენი აცნობიერებს ნების გამოვლენის საფუძველებს და არ ცდება მასში, იაზრებს რა, რომ შედის მისთვის მიუღებელ გარიგებაში, მაგრამ იძულების ფაქტიდან გამომდინარე იგი მოკლებულია შესაძლებლობას სხვაგვარი ნების გამოვლენაზე. მოტყუების შემთხვევაში კი ნების გამომვლენი მოკლებულია შეცდომის გააზრების ფაქტს. ნების გამომვლენი დარწმუნებულია, რომ თავისი მიზნების სისრულეში მოყვანას ემსახურება მის მიერ გარიგების დადება და არც კი უშვებს, რომ რეალურად არასწორი ინფორმაციის ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული. რაც შეეხება შეცდომით დადებულ გარიგებას, მისი საცილობდ გახდომისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს შეცდომის „არსებითობა“, რაც არ არის აუცილებელი მოტყუებით დადებული გარიგების დროს შეცდომის უფლების

²⁷ კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

²⁸ ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ. 193

მქონე პირის მიერ მისი საცილოდ ქცევისთვის. მთავარია დადგინდეს, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა, მოტყუების ხარისხი კი არ არის გადამწყვეტი.²⁹ შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის მიხედვითაც არ არის გადამწყვეტი მოტყუებით დადებული გარიგების მიზნებისთვის დადგინდეს მოტყუების არსებითი ხასიათი.³⁰ შეცდომის საფუძვლით გარიგების ეჭვქვეშ დაყენებისთვის, მართალია შეცდომის არსებობა განმსაზღვრელი ფაქტორია, თუმცაღა მოტყუების საფუძვლით შეცილებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოტყუების ფაქტის დადასტურებას, რომელიც ხდება გარიგების დადების წარმომშობი მიზეზი. მოტყუების დროს პირი მართალია ცდება გარკვეულ გარემოებებთან მიმართებით, თუმცაღა სამოქალაქო კოდექსი მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმებით გმობს მომტყუებლის გასაკიცხ ქმედებას.³¹

შეცდომით და მოტყუებით დადებულ გარიგებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამონვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაჰენტი კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. სწორედ ამ მიზეზით, შეცდომით დადებული გარიგება, საცილო გარიგებათა შორის, ხანდაზმულობის ყველაზე მოკლე ვადას ითვალისწინებს. სამოქალაქო ბრუნვისათვის საზიანო იქნებოდა კეთილსინდისიერი მხარის კანონიერი ინტერესების ხანგრძლივად ეჭვქვეშ დაყენება გარიგების შეცილების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობით.“³²

²⁹ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 340-341; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ. 193.

³⁰ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 341; იხ. შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 28-ე მუხლი (“...ist der Vertrag für ihn auch dann nicht verbindlich, wenn der errege Irrtum kein wesentlicher war”)

³¹ კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის #ას-1350-1275-2012 განჩინება;

მოტყუება იწვევს მოტივში შეცდომას, რომლის ავტორიც არის ნების მიმღები, ხოლო ცოცხალი იარაღი ნების გამომვლენი. დავის სწორად გადაწყვეტის მიზნებისთვის ამოსავალი წერტილი ხდება ნების გამომვლენის მოტივის დადგენა, თუ რა ფაქტორმა გამოიწვია იგი. მოტყუება კი არის, ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელსაც მიმართავს ნების მიმღები, შესაბამისად ბრალი უნდა შეერაცხოს ამ უკანასკნელს, ხოლო ნების გამომვლენი სამართლებრივი დაცვისთვის შეცილების უფლებით უნდა აღუჭურვოს.³³

2. მოტყუებით დადებული გარიგების ობიექტური შემადგენლობა

ა. მცდარი წარმოდგენის შექმნა ან განზრახ ფაქტების დამახინჯება

გარიგების მოტყუებით დადებულად კვალიფიცირებისთვის აუცილებელია სახეზე გვექონდეს მხარის მიზანი მეორე მხარე შეიყვანოს შეცდომაში გარკვეულ ფაქტებზე მცდარი წარმოდგენის შექმნით. მოტყუება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით, აქ მთავარია მომტყუებლის გასაკიცხი ქმედება, რომლის მეშვეობითაც იგი იყოლიებს მეორე მხარეს გარიგებაზე.³⁴ მოტყუება განიმარტება, როგორც „ცდომილებაში განზრახ შეყვანა“. განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომელთათვისაც დასაშვებია მოტყუება გაუფრთხილებლობის შედეგად, ქართული იურიდიული ლიტერატურა ცალსახად აღიარებს განზრახვას, როგორც მოტყუების აუცილებელ ელემენტს.³⁵ განზრახ მოტყუების ფაქტი აღიარებულია გერმანული სამართლის მიერაც. განზრახ მოტყუებაში მოიაზრება მომტყუებლის მიზანმიმართული ქცევა ნების გამომვლენში გამოიწვიოს განსხვავებული წარმოდგენა მასზე ზემოქმედების საშუალებით. პირი აცნობიერებს, რა ტყუილი ფაქტების მიუწოდებლობის შემთხვევაში მხარე არ მიიღებდა გადაწყვეტილებას გარიგებაში შესვლასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად მოქმედება გამოიხატება “გარიგებისთვის მნიშვნელოვან

³³ კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17.

³⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-7 ველი.

³⁵ ზოიძე, გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, გვ. 289; ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, მე-6 ველი. Schermaier M.J Mistake, Fraud and Duties to Inform in European Contract Law, 2005, p.24

გარემოებაზე არასწორი წარმოდგენის შექმნაში, მის გამყარებასა და არასწორი წარმოდგენის შენარჩუნებაში”.³⁶

მომტყუებელი ნების გამომვლენზე მოქმედებს იმგვარად, რომ ამ უკანასკნელისთვის შეუმჩნეველი ხდება თავის ნების ფორმირებაში უხეში ჩარევის ფაქტი. შეცდომაში შეყვანა მოიცავს შემდეგ ელემენტებს, იგი უნდა შეეხებოდეს ფაქტის და არა საკუთარი აზრის მტკიცებას, გარიგების დადებამდე უნდა არსებობდეს შეცდომაში შეყვანის განზრახვა, უნდა იყოს ცალსახა და იმდენად ობიექტური ფორმით გადმოცემული, რომ გონიერი ადამიანის ნების ფორმირება რეალურად მოახდინოს.³⁷

იმისთვის, რომ ნების გამომვლენა გარიგება აქციოს ბათილად არ არის საკმარისი მხოლოდ და მხოლოდ მოტყუების ფაქტზე მითითება, არამედ, იგი ვალდებულია სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ, ნების მიმღების მიერ მოტყუებამ განაპირობა მისი ნების ნაკლი და ტყუილის გარეშე არ გამოავლენდა ნებას ამ სახით. მიზეზი უნდა იყოს გამანყვეტი წინაპირობა ნების გამოვლენისა.³⁸

კონტრაჰენტი, როდესაც ახდენს საკუთარ შეფასებას გარიგებასთან მიმართებით, ან რეკლამირებას ახდენს იგი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ტყუილი.³⁹ მაგალითისთვის, ფერმერმა შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელზეც გამყიდველის თქმით შესაძლებელი იყო 2000 ცხვრის განთავსება. ყიდვის შემდგომ აღმოჩნდა, რომ აზრი ამასთან დაკავშირებით არ შეესაბამებოდა სიმართლეს. მყიდველმა განზრახ ცდომილებაში შეყვანის სათუქვლით მოითხოვა ხელშეკრულების ბათილობა. სასამართლომ კი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ დასაბუთებით, რომ 2000 ცხვარზე მითითება წარმოადგენდა მის მოსაზრებას და არ წარმოადგენდა მიზანმიმართული ტყუილს. გარდა ამისა, გამყიდველი არ ყოფილა დაკავებული მეცხვარეობით, რაც

³⁶ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 343; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-7 ველი; Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, 2015 p. 283

³⁷ ANDREWS N., Contract Law, 2011, p.237; Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, 2015 p. 283.

³⁸ Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, p. 289.

³⁹ კროპკოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-3 ველი; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-7 ველი.

ცნობილი იყო მყიდველისთვის, შესაბამისად მოთხოვნა მიმართული შეფასების უკანონობაზე არის დაუსაბუთებელი.⁴⁰

ჩრდილოეთ დაკოტას უზენაესმა სასამართლო გამიჯნა ფაქტობრივი ტყუილი და საკუთარი აზრიდან გამომდინარე მხარისეული შეფასება, რომელიც არ მიიჩნია ტყუილთან. სასამართლოს განმარტებით ფაქტობრივი ტყუილი უნდა იყოს დადასტურებული ფაქტი, რომელიც ნების მიმღებს გაცნობიერებული აქვს, რომ არის არასწორი ინფორმაცია და განიზრახავს მხარე დაიყოლიოს გარიგებაზე. ტყუილი აგრეთვე დგინდება, როდესაც მომტყუებელი არ არის დარწმუნებული მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეში, ან უთანხმდება ნების გამომვლენს გარკვეულ გარემოებაზე, შესრულების განზრახვის გარეშე.⁴¹

მხარე, რომელიც ახდენს განცხადების გაკეთებას გარკვეულ ფაქტებთან მიმართ საკუთარი აზრის ფორმირების ხარჯზე უნდა მიუთითოს იმ ფაქტებზე⁴², რომლებმაც განაპირობა მისი შეხედულების ამგვარად ჩამოყალიბება. ივარაუდება, რომ ინფორმაციის მიმწოდებელმა უკეთ იცის იმ ფაქტების შესახებ, რომელსაც ის გადმოსცემს. იმ შემთხვევაში თუკი ნათელია, რომ მას არ აქვს საკმარისი საფუძველი ამგვარი განმარტებისა ან სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული საკითხი, მაგრამ მაინც აფიქსირებს პოზიციას, შესაძლებელია დადგეს საკითხი განზრახ შეცდომაში შეყვანის თაობაზე, რაც გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია.⁴³

გარიგების ძალაში შესვლამდე თუ არ არსებობს პირის განზრახვა მხარეს მიანოდოს მცდარი, არასრული ან სახეცვლილი ინფორმაცია, გარიგება ვერ გახდება ბათილი იმ პირობებშიც კი თუ ნების მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაცია აღმოჩნდება ტყუილი. მთავარია დადგინდეს ინფორმაციის გაცემის დროს ეს უკანასკნელი იყო თუ არა მართალი და სარწმუნო. ხოლო, გარიგების არსებითი პირობის ცვლილების დროს იკვეთება გარიგების ბათილობის საფუძველი.⁴⁴

⁴⁰See Case Bisset v. Wilkinson (1927) AC 177, Privy Council; Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, Eleventh Edition, 2015, p. 284-285; E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 582; BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p. 302; ANDREWS N., Contract Law, 201, p. 240.

⁴¹ Sickler Everhart. A.P., Recent Developments in North Dakota Contract Law, 2016, p.59.

⁴²BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p. 303.

⁴³ See Case Smith v Land and House Property Corporation, (1884) 28 Ch D 7.

⁴⁴ See Case With v O'Flanagan (1936); Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, 2015, p. 288, ; E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 593.

ესპანეთის სამოქალაქო კოდექსიც მსგავს დანაწესს შეიცავს განზრახ ცდომილებაში შეყვანასთან მიმართებით, კერძოდ 1269-ე მუხლის მიხედვით იგი განმარტებულია, როგორც მზაკვრული სიტყვები ან მოქმედება მხარის მიერ, რომელიც იწვევს მეორე მხარის გარიგებაზე დაყოლიებას.⁴⁵

რუსული სამართალის მიხედვით, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლი გარიგებას ბათილობის საფუძვლად განამტკიცებს მოტყუების ფაქტის, ზეგავლენას, რომლის ძალითაც მოტყუებული წყვეტს გარიგების დადებას. სასამართლო პრაქტიკა კი მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას, მოტყუებით დადებულ გარიგებად აკვალიფიცირებს, როდესაც მომტყუებლის მოქმედება არის მამოტივირებელი მიზეზი მოტყუებულის მხრიდან გარიგების დადებისთვის.⁴⁶

ბ. მიზეზ-შედგობრივი კავშირი

სსკ-ის 81-ე მუხლის დისპოზიციიდან ნათლად იკვეთება მოტყუების, როგორც გარიგების წარმოშობის მთავარი მოტივის არსებობის აუცილებლობა, იმისთვის, რომ მოტყუებულ მხარეს ჰქონდეს სამართლებრივი ბერკეტი მიმართოს სასამართლოს და თავისი მოთხოვნა დააფუძნოს დასახელებულ ნორმას. გარიგების დადება განპირობებული უნდა იყოს მოტყუებიდან გამომდინარე, თუ მოტყუების გარეშე გარიგება მაინც შედგებოდა, მაშინ პირს ერთმევა შესაძლებლობა იდავოს ამ საფუძვლით. აქ მთავარია, მოტყუების ფაქტის ობიექტური არსებობა, რომელიც საფუძველი ხდება შემდგომში ნების გამოვლენისა.⁴⁷

მიზეზობრივი კავშირის დადგენისთვის გადამწყვეტია გაირკვეს შეცდომა წარმოშობილი მოტყუების ნიადაგზე იყო, თუ არა ნების გამოვლენის გამომწვევი მამოტივირებელი მიზეზი, რამეთუ ცალკე აღებული ტყუილი, რომლის არსებობის

⁴⁵ იხ. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1269-ე მუხლი (Fraudulent misrepresentation exists where, with insidious words or machinations on the part of one of the contracting parties, the other is induced to enter into a contract which he would not have done without them.)

⁴⁶ იხ. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლი; („Сделка, совершенная под влиянием обмана, может быть признана судом недействительной по иску потерпевшего“); ВЕРХОВНЫЙ СУД РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, № 304-ЭС16-20429, г. Москва 15 февраля 2017 г.

⁴⁷ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ.81, გვ. 240; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-10 ველი.

პირობებში გარიგება მაინც შედგებოდა ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც მოტყუებით დადებული გარიგება.⁴⁸

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან იკვეთება შემდგომი მიდგომა, რომ მოტყუება გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი მაშინ, ხდება, როცა მის გარეშე გარიგება არ დაიდებოდა და მას ნების ნაკლად მიიჩნევს, რაც აბსოლუტურად სწორი განმარტებაა, თუმცა დამატებით დასძენს, რომ რომ „მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამომვლენს ნამდვილი ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი“.⁴⁹ ეს არის ის „თვალსაჩინოების სტანდარტი“, რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო დავის გადანწყვეტისას.⁵⁰ პოზიცია, „თვალსაჩინოების სტანდარტით“ ხელმძღვანელობისა განპირობებული უნდა იყოს, სწორედ, რომ ობიექტური ვითარების ცალსახად დადგენისთვის, თუმცა, გარდა ამისა, მსგავსად გერმანიის სამართლისა, მნიშვნელოვანია დადგინდეს სუბიექტური კრიტერიუმი, რომელშიც მოიაზრება მომტყუებლის განზრახვა მოტყუების თაობაზე.⁵¹ ამ მხრივ გამართული მიდგომით გამოირჩევა იტალიის სამართალი, რამეთუ სავალდებულოდ მოითხოვს ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების კუმულაციურად არსებობას.⁵²

აღნიშნული მიდგომა გაკრიტიკებულია იურიდიულ ლიტერატურაში, რომლის თანახმად საკითხის ამგვარად გადანწყვეტა იწვევს იმ პირთათვის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას, რომლებიც მოტყუვდნენ ისეთ პირობებში, როგორშიც შესაძლებელია, რომ სხვა პირები ვერ შემცდარიყვნენ. ამგვარი მიდგომა არათანაბარ პირობებში ამყოფებს არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ

⁴⁸ კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-5 ველი.

⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2013-11 გადანწყვეტილება;

⁵⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის #2ბ/1412-15; თბილისის

სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის #2ბ/4219-15.

⁵¹ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ.344.

⁵² იქვე.

პირებს. სამართლისგან დაცვას საჭიროებს თითოეული ადამიანი, განურჩევლად მათი უნარისა, სწორად შეაფასონ ამა თუ იმ პირის მოქმედება და მიზნები.⁵³ თუ სასამართლოს ამგვარი მიდგომა განპირობებულია დავის სწორად გადანწყვეტის მიზნებისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხის არასწორი გადანწყვეტა რადგან, შესაძლებელია მოსარჩელემ მოტყუებით დადებული გარიგების შეცილებისთვის უმნიშვნელო დეტალიც კი მოტყუებად განმარტოს, რომელიც თითქოსდა გარიგების დადებისთვისაც იყო გადამწყვეტი. თუმცაღა მიმაჩნია, რომ ამ პრობლემას წყვეტს მოსარჩელისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რომელმაც უნდა ამტკიცოს მოპასუხის „ბოროტი განზრახვის“ არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

3.დუმილით მოტყუება

მოტყუება შესაძლებელია, როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე, პასიური მოქმედებით, ანუ უმოქმედობით. ნების გამოვლენა შესაძლებელია შეცდომით მოხდეს, როდესაც მხარის მხრიდან ადგილი აქვს დუმილს იმ გარემოებებთან მიმართებით, რომლის მიწოდების შემთხვევაში მხარე არ დადებდა გარიგებას. დუმილი აღნიშნულზე უნდა იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის, რომლის არარსებობის პირობებში მოტყუებული ნებას არ გამოავლენდა. გარიგების ბათილობის მოთხოვნის რეალური საფუძველი გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა მომტყუებლის მხრიდან ადგილი აქვს გასაკიცხ „ნაყრუება-დუმილს“, იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი დუმილი არ ექცევა სამართლის შეფასების სფეროში.⁵⁴ შეგნებული დუმილი გათანაბრებულს უნდა იქნეს მოტყუებასთან, იმდენად, რამდენადაც სიმართლის დამალვით მხარე იყოლიებს მოტყუებულს მის სასარგებლოდ ნების გამოვლენაზე.⁵⁵ ნაწილობრივ სიმართლის თქმა უტოლდება ტყუილს, რამეთუ ადგილი გაქვს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას გარკვეულ გარემოებებთან მიმართებით, რაც არსებითია მხარისათვის.⁵⁶

⁵³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-10 ველი.

⁵⁴ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 81, გვ. 240.

⁵⁵ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი (I ზოგადი ნაწილი), 2001, გვ. 268.

⁵⁶ See Case Spice Girls LTD v Aprilia World Service BV (59); Peek v. Gurney (1873) 8 LR 6HL 377; Central Railway Co of Venezuela v. Kisch (1867) LR 2HL 99,114); Dimmock v. Hallett (1866); Notts Patent Brick and Tile Co v. Butler (1866) 16 QBD 778; Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF

დუმილი არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე აქტიური მოქმედება მხარის ცდომილებაში შეყვანის მიზნით, რამეთუ შედეგი არის არსებითად ერთი, მხარე არ გამოვლენდა ნებას სხვა პირობებში. უნდა დადგინდეს თუ რა სახის დუმილი წარმოშობს მოთხოვნის უფლება. მხარე არ უნდა დუმდეს ისეთ გარემოებებზე, რომლის მიწოდების ვალდებულებაც სპეციალურად ევალუბოდა ან გამომდინარეობს კეთილსინდისიერების და სამოქალაქო ბრუნვის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე.⁵⁷ როგორც წესი ისეთ ურთიერთობებში, როგორცაა ნასყიდობა, მხარეს ნაკლები ვალდებულება აქვს ინფორმაციის მიწოდებაზე, რამეთუ თავად ურთიერთობის ხასიათი და სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი გარემოებები განაპირობებენ ამგვარ მიდგომას. ბაზარში გამყიდველი არ არის ვალდებული მყიდველს მიაწოდოს პროდუქტის თაობაზე არსებული ფასები და ა.შ.⁵⁸

მოტყუება არ არის აუცილებელი მიმართული იყოს უშუალოდ გარიგების საგანზე, მოტყუებად კვალიფიცირდება ის შემთხვევაც, როცა მხარე არ სტყუის გარიგების საგანთან მიმართებით, თუმცა აუცილებელ ინფორმაციას მიზანმიმართულად არ აწვდის, რათა შექმნას გარიგებისთვის ხელსაყრელი გარემო. მიუხედავად ამისა, გარიგება, მაინც უნდა ჩაითვალოს მოტყუებით დადებულიად.⁵⁹

ინგლისური სამართლის მიხედვით არ არის აღიარებული განზრახ ცდომილებაში შეყვანა დუმილით. ამ უკანასკნელის მიერ დადგენილია ნეგატიური ვალდებულება ტყუილის არ თქმის შესახებ და არა პოზიტიური ვალდებულება-სიმართლის თქმის თაობაზე. თუმცა ტყუილთან არის გაიგივებული არამართო ინფორმაციის ნახევრად თქმა, არამედ სახეშეცვლილი პირობებით მიწოდება.⁶⁰

გერმანული სამართალი მოითხოვს, რომ დუმილს ჰქონდეს გადამწყვეტი ეფექტი მხარის შცდომაში შეყვანისთვის. აგრეთვე, გერმანიის მსგავსად პორტუგალიური

CONTRACT, p. 285; E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 592; BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p. 302.

⁵⁷ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 81, გვ. 241.

⁵⁸ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ.341; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-14 ველი.

⁵⁹ გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), გ.თუმანიშვილი, 2012, გვ. 65.

⁶⁰ Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, p. 287-288.

და ბერძნული სამართალი მოტყუებას ხსნიან კეთილსინდისიერების და culpa in contrahendo-ს პრინციპების გათვალისწინებით.⁶¹

3.1 გამუღავნების ვალდებულება

ნების მიმღების მიერ აუცილებლად მისაწოდებელი ინფორმაციის ვალდებულების აღმნიშვნელი ტერმინი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებულად გვხვდება. იგი მოხსენიებულია, როგორც შეტყობინების ვალდებულება,⁶² გამხელის ვალდებულება,⁶³ განმარტების ვალდებულება,⁶⁴ და გამუღავნების ვალდებულება.⁶⁵ განსხვავებული ტერმინით მოხსენიების მიუხედავად შინაარსობრივი განმარტება მსგავსია თითოეული ავტორისა.

გამუღავნების ვალდებულება არსებობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც, ასევე, აღიარებულია ევროპული სახელმძღვანელო სამართლის პრინციპებითაც. ამ შეთხვევაში კეთილსინდისიერ მოლოდინში უნდა მოვიაზროთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარეს გონივრული მოლოდინი ექნებოდა ამა თუ იმ ინფორმაციის მიღებაზე, რომელის არცოდნასაც შეუძლია მნიშვნელოვნად ზიანი მიაყენოს ნების გამომვლენს.⁶⁶ კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობას ყველაზე ნათლად გამოხატავს ისეთი ხელშეკრულებები, როგორიცაა დაზღვევის ხელშეკრულება, საოჯახო ხელშეკრულებები, რომელიც შეეხება ოჯახის საკუთრებას. დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას დამზღვევი ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მიაწოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის რეალური

⁶¹Schermaier M.J Mistake, Fraud and Duties to Inform in European Contract Law, 2005 p. 264.

⁶² ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378

⁶³ კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

⁶⁴ კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, §116 მე-4 ველი.

⁶⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-14 ველი.

⁶⁶ ევროპული სახელმძღვანელო სამართლის პრინციპების 4:107-ე I მუხლი („non-disclosure of any information which in accordance with good faith and fair dealing it should have disclosed”); Beale H., Hartkamp A., Tallon D., Kötz H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002, p.335-336; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 342.

მდგომარეობის შესახებ, რადგანაც ამა თუ იმ დაავადების არსებობა არ არსებობის ფაქტი არის განმსაზღვრელი მზღვეველისთვის გასწიოს თუ არა სახელშეკრულებო რისკი.⁶⁷

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა გაიგივებულია ტყუილთან, ეს არის ისეთი სახის ინფორმაცია, რომელის მიწოდებაც აუცილებელია, ხოლო, იმ ინფორმაციის მიუწოდებლობა კი, რომელის მიღებაც დაუბრკოლებლად შეუძლია მეორე მხარეს, არ წარმოადგენს გამჟღავნების ვალდებულების დარღვევას.⁶⁸ მსგავსი მიდგომაა გერანიის სამოქალაქო კოდექსითაც გათვალისწინებული.

გერმანული სამართლის მიხედვითაც განმარტების ვალდებულება განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევის ხასიათიდან გამომდინარე. სავსებით ბუნებრივია, რომ მხარეებს განსხვავებული მიზნები და ინტერესები გაააჩნიათ, რაც მათ რიგ შემთხვევაში აძლევს დუმილის უფლებას, რიგ შემთხვევაში კი ავალდებულებს ინფორმაციის გაცემაზე. ზღვარი კი დუმილსა და ლაპარაკს შორის გადის კეთილსინდისიერებს პრინციპზე. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა დუმილს განმარტავს, როგორც მოტყუებად, როცა გამყიდველი მყიდველს არ აწვდის ისეთ ინფორმაციას, როგორცაა მანქანის მძიმე ავარიულობის ფაქტი, ან როდესაც მყიდველი პირდაპირ ეკითხება აღნიშნულზე.⁶⁹

ინგლისური სამართალი გამჟღავნების ვალდებულებასთან მიმართებით განსხვავებული მიდგომას ავითარებს, მთელ რიგ შემთხვევებში, მხარეს არ ავალდებულებს ინფორმაციის მიწოდებაზე, განსაკუთრებით სავაჭრო

⁶⁷ Beale H., Hartkamp A., Tallon D., Köst H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002 , p. 412; რუსიაში, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-14 ველი; Jing Z., Remedies for Breach of the Pre-Contract Duty of Disclosure in Chinese Insurance Law, 2017, p.1; Cousy H., The Principles of European Insurance Contract Law: the Duty of Disclosure and the Aggravation of Risk, 2008, p. 126.

⁶⁸ იხ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1116-ე მუხლი (Fraud is a cause of nullity of the agreement when the stratagems practised by one of the parties are such, that it is evident that without such stratagems the other party would not have contracted); Beale H., Hartkamp A., Tallon D., Köst H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002 , p. 412-415;

⁶⁹ კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 116 მე-4 ველი; რუსიაში, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-14 ველი; Beale H., Hartkamp A., Tallon D., Köst H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002 , p. 415-416.

ურთიერთობებში. ის ფაქტი, რომ ერთ მხარემ იცის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტი გარიგების თაობაზე, მას არ სთხოვს მეორე მხარეს, მიანოდეს ეს ინფორმაცია. მართალია, დუმილი, შესაძლებელია მორალური თვალსაზრისით იყოს არასწორი, თუმცა მას არ აიგივებს ტყუილთან.

აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქმე ძველსა და ახალ შვრიაზე.⁷⁰ მყიდველი, რომელიც არის ცხენების მწვრთნელი შეიძინა შვრია, თუმცა ციფვისას გამყიდველისთვის არ დაუკონკრეტებია ახალი(ცხენები არ ჭამენ) შვრია სურდა თუ ძველი. გამყიდველმა იცოდა თუ რა სურდა მყიდველს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანაც ახალი შვრია მიანოდა. სასამართლომ განმარტა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა ნების მიმღების ვალდებულება ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე. იმდენად, რამდენადაც მყიდველს დაუბრკოლებლად შეეძლო მიეთითებინა, თუ, როგორი შვრია სურდა, დაესვა კითხვა, მოემოქმედებინა ნებისმიერ რამ, რაც ნათელს გახდიდა მის სურვილს, რაც არ გაუკეთებია. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების ბათილობასთან მიმართებით არ იქნდა დაკმაყოფილებული.⁷¹

მიუხედავად განსხვავებული მიდგომისა ინგლისური სამართალი სრულად არ უარყოფს გამჟღავნების ვალდებულებას და მხარეს აკისრებს ვალდებულებას გამჟღავნებაზე ისეთ ურთიერთობებში, როგორცაა ფიდუციარული, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, ასევე დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.⁷² ინგლისური სასამართლო ამ შემთხვევაში ეყრდნობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. წინასახელშეკრულებო ეტაპზე მხარეები არიან რა თანასწორნი, იმყოფებიან თანაბარ სახელშეკრულებო პირობებში, და გარიგების დადებისთვის ერთ მხარეს ესაჭიროება ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია გადმწყვეტ ხასიათს ატარებდეს მისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იგი ვალდებულია ამ ინფორმაციის თაობაზე დასვას კითხვები. იმ შემთხვევაში კი, თუ დასმულ კითხვებს არასწორი შეფასება მოყვება ნების მიმღების მხრიდან სასამართლო რეაგირების გარეშე არ დატოვებს და დასვამს

⁷⁰ See Case Smith v. Hughes (1871)

⁷¹Beale H., Hartkamp A., Tallon D., Köst H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002, p.410-411; SMITS Jan.M., Contract Law, A COMPARATIVE INTRODUCTION, 2014 p. 172-173.

⁷²E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 590-591; SMITS Jan.M., Contract Law, A COMPARATIVE INTRODUCTION, 2014, p.173; Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, p. 288.

არაკეთილსინდისიერი მხარის პასუხისმგებლობის საკითხს. იმ ვითარებაში თუ მხარე კითხვას არ სვამს, ინგლისური სასამართლო არ მიიჩნევს თავის მოვალეობად მოსთხოვოს მდუმარე მხარეს თუ რატომ ვერ მიხვდა იგი, რომ ესა თუ ის ინფორმაცია, შესაძლებელია ნების გამომვლენისთვის ყოფილიყო არსებითი ხასიათის.⁷³

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა გამჟღავნების ვალდებულების დარღვევა, კერძოდ, მყიდველმა შეიძინა რა გემი, დაიწყო მფლობელობა აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები ხელშეკრულების საგანზე. სასამართლომ განარტა, რომ ადგილი ჰქონდა ნაკლის განზრახ დაფარვასა და დამალვას, შესაბამისად გარიგება მოტყუებით დადებულად მიიჩნია.⁷⁴

აგრეთვე კეთილსინდისიერების პრინციპიდან (uberrimae fidei), გამომდინარე მხარე ისეთ ურთიერთობებში, სადაც ეს უკანასკნელი პრინციპი აქტიურად იჩენს თავს არ უნდა დუმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოტყუებით დადებულ გარიგებას ვიღებთ სახეზე.⁷⁵

წინასახელშეკრულებო ეტაპზე ნების გამომვლენისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გამომდინარეობს ევროპული სახელშეკრულებო პრინციპებიდან. აღნიშნული მიმართულია, რათა ამ უკანასკნელს შეექმნას სრულყოფილი ინფორმაცია გარიგების ფაქტებთან მიმართებით. ისეთ გარიგებებში, როგორცაა ფრენშიაზინგი და მიწოდება ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში გრძელდება დიდხანს და დაკავშირებულია დიდ ინვესტიციებთან, შესაბამისად მხარე, რომელიც დაინტერესებულია გარიგებით, როგორც წესი არ აქვს შესაძლებლობა ინფორმაციის სხვა გზით მოპოვებაზე.⁷⁶

3.2 .ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სსკ-ის 318-ე მუხლის მიხედვით

გამჟღავნების ვალდებულების ჭრილში განვიხილოთ სსკ-ის 318-ე მუხლი, რომელიც ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას ადგენს. ეს უკანასკნელი

⁷³Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, p. 282

⁷⁴ See Case Schneider v. Health (1813), E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 591.

⁷⁵ Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, p. 288.

⁷⁶ Hesselink M.W., Rutgers J.W, Bueno Díaz O., Scotton M., Veldman M., Principles of European Law, Commercial Agency, Franchise and Distribution Contracts, 2006, p.103.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელშეკრულების თავისუფლების განსაზღვრისთვის და მისი დარღვევა ავტომატურად აისახება მხარის ნების ფორმირებაზე. საჭირო ინფორმაციის გაუცემლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს ნების გამომვლენის არასასურველ გარიგებაში შეყვანა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია მხარის არაკეთილსინდისიერებით. ვიღებთ იმგვარ მოცემულობას ურთიერთობისა, სადაც ნების გამომვლენს არ ექმნება რეალური და ობიექტური წარმოდგენა გარიგების შინაარსზე, რაც იწვევს მის მიტყუებას. ამდენად ინფორმაციის მინოდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მისი გაცემის ვალდებულება კი უნდა განისაზღვროს სახელშეკრულებო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია დადგინდეს ინფორმაციის დეტალური, სიღრმისეული მინოდება.⁷⁷

4. მოტყუებით დადებული გარიგების სუბიექტური შემადგენლობა.

სუბიექტური შემადგენლობა მოტყუებით დადებული გარიგებისას მოითხოვს მომტყუებლის განზრახვას, რომელიც აცნობიერებს მისი მოქმედების თუ უმოქმედობის შედეგებს, კერძოდ იცის რა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ზემოქმედებს პირზე და წვევს ნების არასწორ გამოვლენას. ყოველივე ეს კი მოტივირებული უნდა იყოს „გარიგების დადების მიზნით„. მსგავსი მიდგომით გამოირჩევა სხვა ქვეყნების სამართალიც, როგორებიცაა გერმანია, შვეიცარია.⁷⁸ ნების მიმღების განზრახვა ხდება გაცნობიერებულად, რადგან თითქმის შეუძლებელია პირი გარიგების დადების მიზნით შემთხვევით მოატყუო, მხარე მინიმუმ დარწმუნებული არ უნდა იყოს ინფორმაციის უზუსტობაში, რომელსაც აწვდის. ობიექტურად გარემოებების არცოდნას ვერ მივიჩნევთ მოტყუებად და აღნიშნული ვერ გახდება საცილობის საფუძველი. ნიდერლანდების და

⁷⁷ სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 240-241.

⁷⁸ იხ. შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 28-ე მუხლი; გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფი.; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ.342; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-18 ველი; Beale H., Hartkamp A., Tallon D., Kötz H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002, p. 337.

ავსტრიის სამოქალაქო კოდექსიც მსგავს შინაარსს შეიცავს და არ არის უცხო აღნიშნული დანაწესი მათი სამართლისთვის.⁷⁹

გერმანიის სამართლის მიხედვით პირი, რომელიც არ არის დარმწუნებული მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიცრუეში, გამომრიცხავად მიიჩნევა განზრახვას, მეტიც უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც კი არ აღიარებს განზრახვის არსებობის შესაძლებლობას. იმისთვის, რომ დდგინდეს ნების მიმღების გასაკიცხი განზრახვის არსებობა, აუცილებელია იგი იყოს მიზანმიმართული და გაცნობიერებული მომტყუებლის მხრიდან. ამდენად, სასამართლოს მიერ განზრახვის დადასტურებულად მიჩნევისთვის მოითხოვს მაღალი ხარისხის მტკიცების სტანდარტს.⁸⁰

მოტყუების განზრახვის არსებობა წინ უნდა უსწრებდეს გარიგების დადებას. მსგავსი მიდგომა ლოგიკურია, იმდენად, რამდენადაც გარიგების დადების მიზნით ხდება მოტყუება. მოტყუება, რომელიც საცილობის საფუძველია, უნდა იყოს ხელშეკრულების წარმომშობი (dolus dans contractui) და არა ხელშეკრულებაში არსებული.⁸¹

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ მხრივ სასამართლო ყოველთვის სავალდებულოდ მიიჩნევა დაადგინოს ხელშეკრულებამდე არსებული მოტყუების განზრახვა. სააქციო საზოგადოების შეთავაზება იმასთან მიმართებით, რომ აქციები მხარისთვის იქნება მომგების მომტანი, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მოტყუება, რადგან სასამართლოს განმარტებით აქციონერი არის სამეწარმეო რისკის მატარებელი, ვინაიდან აქციების მიხედვით მიღებული დივიდენდის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე, ვიდრე კაპიტალის განთავსების ალტერნატიული ფორმებიდან მიღებული მოგება ან შეიძლება მოგება საერთოდ ვერ იქნეს მიღებული. შეუძლებელია გარიგების დადების მიზნით მოტყუებად ჩაითვალოს ის გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არც ერთი მხარისათვის არ იყო ცნობილი და მისი დადგომა ხდება შემდეგში. შეუძლებელია აქციის გამყიდველს ჰქონდეს

⁷⁹ იხ. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 3:44-ე I მუხლი; იხ. ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის 870-ე პარაგრაფი; ; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 343.

⁸⁰ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 343.

⁸¹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 81, გვ. 240;

გარანტია იმისა, რომ მის მიერ გაყიდული აქცია იქნება მომგებიანი.⁸² სესხის ხელშეკრულების არსებობისას სასამართლო წყვეტს პირის განზრახვას, ხელშეკრულების დადებამდე ჰქონდა თუ არა პირს გადაწყვეტილი თანხის არ დაბრუნება, დასახელებული განზრახვის არ არსებობა გამორიცხავს მოტყუებას.⁸³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არსებობს მყარად დაგენილი პრაქტიკა წერილობით დადებული გარიგების არსებობისას, პირი, რომელიც ხელს აწერს გარიგებას, ივარაუდება, რომ მის შინაარსს გაცნობილია, რაც ცალსახად გამორიცხავს მოტყუების ფაქტს. სასამართლო ამბობს, რომ ვინაიდან, ამ უკანასკნელს ჰქონდა გარიგების შინაარსის გაცნობის უფლება და თუკი იგი არ გასცნობია ამ ხელშეკრულებების შინაარსს, მისთვის საინტერესო საკითხები არ გაურკვევია გარიგების მეორე მხარესთან და ისე მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებებს, აღნიშნული წარმოადგენს „ნდობაზე დამყარებულ უხემ გაუფრთხილებლობას“. სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, ითვალისწინებს გარიგების ბათილობას იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილი ნების ფორმირება მოტყუების საფუძველზე განხორციელდა და არა ნდობით გამოწვეული უხემ გაუფრთხილებლობის გამო. უფრო მეტიც, პირი, რომელიც ხელს აწერს დოკუმენტს, რომელიც მისთვის უცნობ ენაზეა შედგენილი, სასამართლოს განმარტებით მას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან არ ათავისუფლებს, რადგან ამ დროს იგი, სულ მცირე, სამოქალაქო დაუდევრობას იჩენს, შესაბამისად იგი საკუთარ თავზე იღებს იმ რისკს, რომელიც დოკუმენტის შინაარსის გაუცნობლად ხელმოწერასთანაა დაკავშირებული.⁸⁴ სასამართლოს მიდგომა ერთგვაროვანი და ცალსახაა, როდესაც სადავოდ არის გამხდარი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მინდობილობაზე ხელმოწერა წარმოადგენდა მესამე პირებისთვის კანონიერი ნდობის შექმნის საფუძველს. მესამე პირი, რომელიც დებს გარიგებას, ენდობა ხელმოწერილ და ნოტარიულად დამოწმებული გარიგების შინაარსს. ივარაუდება, რომ ნების გამომვლენი

⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 08 ნოემბრის #3კ-938-02 განჩინება.

⁸³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-19 ველი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 11 აპრილის #3კ/210-01 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის #ას-447-424-2011 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის #ას-193-180-2015 განჩინება;

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის #ას-132-124-2015 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის # 2ბ/4935-17 გადაწყვეტილება.

აცნობიერებდა გამოვლენილ ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იცნობდა დოკუმენტის შინაარსს და თუ მოხდება იმის დაშვება, რომ არ იცნობდა და ისე მოაწერა ხელი, აღნიშნული შეცდომების უფლების მქონე პირის სამოქალაქო სამართლებრივი რისკია. მსგავს სამართალურთიერთობებში წინ იწვევს კონტრაქტის ნდობის დაცვა, რამეთუ მას ექმნება კეთილსინდისიერი რწმენის საფუძველი. გარდა ამისა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვის მიზნებისთვის იმგვარი პრეცედენტის დაშვება, რომ შინაარსის გაცნობის გარეშე ხელმოწერილი დოკუმენტების ბათილობა მოითხოვონ პირებმა, გამოიწვევს სამოქალაქო ბრუნვის შეფერხებას, კერძო სამართალში მოქმედ კეთილსინდისიერების პრინციპის ბოროტად გამოყენებას, რამეთუ სამოქალაქო სამართალურთიერთობები პირველ რიგში, კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რომლითაც ხდება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა თავისუფალი ქცევის შეზღუდვა, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, იმ განზრახვით, რომ არ მოხდეს საკუთარი უფლებების რეალიზაცია სხვისი უფლებების დაუშვებლად ხელყოფის ხარჯზე.⁸⁵

სასამართლოს ამგვარი მიდგომა გაკრიტიკებულია იურიდიულ ლიტერატურაში, რაც გასაზიარებელია. იმდენად, რამდენადაც რიგ შემთხვევებში ნების გამომვლენს მომტყუებლის ქმედებიდან გამომდინარე აქვს არასწორი წარმოდგენა გარკვეულ ფაქტებთან მიმართებით, შესაბამისად გაუმართლებელია მას მოეთხოვოს ხელშეკრულების დეტალურად გაცნობიერება. ამასთანავე, სასამართლო ამგვარი პოზიციით ფაქტობრივად უგულებელყოფს მომტყუებლის გასაკიცხ ქმედებას, რაც გამოიხატება განზრახ მოტყუებაში. სასამართლო არ შედის მსჯელობაში დადგინდეს წარმოშობილი ურთიერთობის განმაპირობებელი მართლსაწინააღმდეგო მიზეზები. ამგვარი მიდგომით, შესაძლებელია მოტყუების რეალურად დადგენის პირობებში არ მოხდეს გარემოებების შესწავლა-ანალიზი და შაბლონური გადაწყვეტილება მივიღოთ.⁸⁶ სწორი მიდგომა იქნება ყოველ

⁸⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის №2ბ/4378-10 გადაწყვეტილება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2103-11 გადაწყვეტილება;

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის 16 ივნისის #ას-182-171-2014

განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის #ას-829-1080-04 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის #ას-1342-1182-2010 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის #ას-1059-1326-09 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის #ას-1316-1254-2014 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 მარტის #ას-1214-1159-2013 განჩინება.

კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ანალიზის შედეგად დადგინდეს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა გასცნობოდა ხელშეკრულებას და რამდენად შესაძლებელია იყოს იგი გამონვეული მისი ბრალით. სასამართლოს ეკისრება მნიშვნელოვანი ფუნქცია შესაძლებლობის ფარგლებში დაადგინოს არსებითი ხასიათის ფაქტები შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის ფარგლებში. მით უფრო, როდესაც მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმები სასამართლოს პირდაპირ ავალდებულებს დაიცვას ნების თავისუფლება და კანონიერი ნდობა მხარის კეთილსინდისიერებასთან მიმართებით.⁸⁷

4.1 ზიანის მიყენებისა და სარგებლის მიღების მიზნის ირელევანტურობა

გერმანულ სამართალში ისევე, როგორც ქართულ სამართალში მოტყუებით დადებული გარიგების საცილობისთვის ზიანის მიყენებისა და სარგებლის მიღების მიზნის არსებობა არ არის აუცილებელი წინაპირობა. აღნიშნული განპირობებულია სსკ-ის 81-ე მუხლით დაცული სიკეთიდან გამომდინარე, რომელსაც წარმოადგენს ნების თავისუფლება და მხარის ნდობა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე.⁸⁸ ერთადერთი, რისი არსებობაც აუცილებელია, არის ნების გამომვლენის მიმღების სურვილი, მოატყუოს იგი და გამოიწვიოს მასში არასწორი ნების გამოვლენა. რელევანტური არის დადგინდეს მხოლოდ და მხოლოდ „ნების ავტონომიის პრინციპის ხელყოფა“⁸⁹ თუმცაღა სავსებით სწორად არის დამკვიდრებული, აზრი, იმის შესახებ, რომ ამგვარი მიზანი როგორც წესი უნდა არსებობდეს, რადგან ძნელი წარმოსადგენია მხარე იტყუებოდეს, ცდილობდეს გარიგების დადებაზე დაიყოლიოს პირი და ზიანის მიყენება ან სარგებლის მიღების მიზანი არ გააჩნდეს. ან ნების გამომვლენი თავს თვლიდეს მოტყუებულად და გამომრიცხავად მიაჩნდეს მომტყუებლის აღნიშნული მიზანი.⁹⁰ სარგებლის მიღების მიზანი, როგორცაა ქონების მითვისების სურვილი, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სისხლის

⁸⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-21 ველი;

⁸⁸ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378; კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 19; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 82, მე-1 ველი; კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123, მე-6 ველი.

⁸⁹ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 345

⁹⁰ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 50, გვ. 242; ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379.

სამართლის მიზნებისთვის, რათა დადგინდეს სისხლის სამართლის წესით დასჯადი თაღლითობის შემადგენლობა.⁹¹

საკამათოა ე.წ. „კეთილი განზრახვით“ მოტყუება, როდესაც ნების მიმღები მოტყუებას ფუთავს იმგვარად, თითქოსდა მისი მხრიდან მოტყუება განპირობებული იყო ნების გამომვლენის ინტერესებითაც. თუმცაღა ფაქტობრივად რთულია იმის დადგენა, რეალურად აღნიშნული ემსახურება პირად ინტერესებს თუ ორმხრივი ინტერესების ფარგლებში ექცევა. მით უფრო რთულია ნების გამომვლენის ინტერესებში მოქმედების მტკიცება, რამეთუ აღნიშნული სუბიექტური შემადგენლობის ნაწილია და ეს კატეგორია მტკიცებას მოკლებულია. ქართული სამართალი დღევანდელი მოცემულობით არ იცნობს „კეთილი განზრახვით“ მოტყუების შემთხვევებს და ყოველივე ეს განპირობებულია ისევ და ისევ მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობის დამდგენი მუხლის დაცვის სფეროდან, კონკრეტულად მასში ერთმნიშვნელოვნად მოიაზრება ნების თავისუფლება და ნების გამომვლენის ნდობა კეთილსინდისიერების ფარგლებში.⁹²

5. მოტყუება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტი

ხელშეკრულების თავისუფლება და კერძო ავტონომიის პრინციპის ხელყოფა, რომელიც სამართლის აბსოლიტურ დაცვას დაქვემდებარებული სიკეთეებია, ცალსახად, მომტყუებლის ქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ აქცევს.⁹³ მოტყუება თავის თავში მოიაზრებს ნების მიმღების მხრიდან პირზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა პირი აღჭურვილია ტყუილის უფლებით. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს „კეთილი განზრახვით“ მოტყუების შესაძლებლობის შეუძლებლობა. მოტყუება, როგორც ზემოთ განვმარტეთ არის მხარის განზრახ შეცდომაში შეყვანა, რაც ბუნებრივია ქმედებას ავტომატურად მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ანიჭებს. მოტყუება თავისთავად არის გასაკიცხი, სამართალი არც კი ეძიება მოტივს

⁹¹ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ, 2008, მუხ.180, გვ. 369.

⁹² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.82, მე-6 ველი;

⁹³ იქვე, მუხ.81, მე-16 ველი;

მოტყუებისას, შესაბამისად მისი კვალიფიკაცია ხდება, როგორც მართლსაწინააღმდეგო.

გერმანული სამართალი ქართული სამართლისგან განსხვავებით იცნობს „ტყუილის უფლებას“ (“right to lie). ეს უკანასკნელი ნიშნავს, უფლებას რიგ შემთხვევებში არასწორი ინფორმაციის მინოდებაზე. მსგავსი შემთხვევის ცნობილ მაგალითს წარმოადგენს სავარაუდო დამსაქმებლისთვის ისეთი ინფორმაციის არ მინოდება ან არასწორად მინოდებაა, რომელიც შეეხება მომავალში შესაძლო დასაქმებულის ინფორმაციას ფეხმძიმობასთან მიმართებით. შესაბამისად, გერმანული სასამართლო ამ საფუძვლით ხელშეკრულებას ბათილად არ აცხადებს.⁹⁴ მართალია ეს უკანასკნელი არ იქნება მართლსაწინააღმდეგო ხასიათის თუმცაღა, მოტყუების დისპოზიციამში მაინც ჯდება, და აქედან გამომდინარე გარიგების საცილობის საფუძველიც შესაძლებელია გახდეს.⁹⁵

„ტყუილის უფლება“, განმტკიცებულია ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც, რომლის 3:44(2) მუხლის თანახმად განცხადება, რომელიც არ წარმოადგენს სიმართლეს, შესაძლებელია არ დაკვალიფიცირდეს, როგორც მოტყუება და მასში, სწორედ ისეთ შემთხვევებს მოიაზრებს, როგორცაა ფეხმძიმობისკენ მიმართული შეკითხვები, რამეთუ იგი მიჩნეულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციად (sex discrimination).⁹⁶

6. მოტყუება მესამე პირის მხრიდან

შეცილების უფლება ნების გამომვლენს წარმოეშობა, არამხოლოდ, უშუალოდ კონტრაქტის მხრიდან მოტყუებისას, არამედ, როდესაც ტყუილის ავტორია მესამე პირი, რომელიც არ არის გარიგების მხარე. სსკ-ის 83-ე მუხლის დისპოზიციიდან იკვთება იმის შესაძლებლობაც, რომ მოტყუებულმა მომტყუებლის მიერ განზრახ ნების თავისუფლებაში უხეში ჩარევის მიუხედავად დაკარგოს შეცილების უფლება, ერთი მხრივ „გარიგებიდან სარგებლის მიმღების

⁹⁴ იქვე, მე-16 ველი;

⁹⁵ კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

⁹⁶ იხ. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 3:44(2) მუხლი (...“Representations in general terms, even if they are untrue, do not as such constitute fraud”) Beale H., Hartkamp A., Tallon D., Köt H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002 . 338-339; See Case-177/88 Dekker v. VJV Centrum, (1990) ECR I-3941 (ECJ).

ნდობის დაცვით“, მეორე მხრივ, კი, როცა მოტყუებულის ნდობა არ არის დაცვის ღირსი.⁹⁷ განზრახ ფაქტების დამახინჯების ავტორი მართალია არ არის ნების მიმღები, თუმცადა მესამე პირის მხრიდან მოტყუებაა ცნობილია მისთვის, ან შესაძლებელია არც იყოს ცნობილი, მაგრამ მის მიერ გულისხმიერების გამოჩენის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მესამე პირის მხრიდან მოტყუების ფაქტი. შესაბამისად, ნების მიმღები არ იმსახურებს გარიგების აღსრულებას.⁹⁸

ინგლისური სამართალი მესამე პირთან მიმართებითაც სხვაგვარ მიდგომას ავითარებს, კერძოდ, თუ მხარის გადაწყვეტილება გარიგების დადებაზე მოტივირებული იყო მესამე პირის მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციის ხარჯზე, აღნიშნული ვერ გახდება გარიგების ბათილობის საფუძველი, იმდენად რამდენადაც მესამე პირი არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, შეცილების უფლება კი მიმართული უნდა იყოს კონტრაჰენტისადმი. პირი, რომელიც ყიდულობს კომპანიაში წილებს, მესამე პირის განცხადების საფუძველზე, არ შეიძლება წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ანულირება დაეფუძნოს მესამე პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტს.⁹⁹

ა.მესამე პირი

მესამე პირი სსკ-ის 83-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე არის პირი, რომელიც არ წარმოადგენს გარიგების მხარეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გააჩნია დამოუკიდებელი ინტერესი გარიგების დადების მიმართ. ეს უკანასკნელი ცალკე აღებული არც ერთი მხარის ინტერესების დამცველი არ არის და არ აქვს არავითარი შემხებლობა მოტყუებულთან, რათა მისი ქმედება არ შეერაცხოს ამ უკანასკნელს. ისეთის არსებობის შემთხვევაში, როგორცაა წარმომადგენლობითი

⁹⁷ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 83 გვ. 243; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 83, 1-ლი ველი;

⁹⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 83, მე-2 ველი;

⁹⁹Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, Eleventh Edition, 2015, p. 284; See Case Parallel Media LLC v Chamberlain.

ინსტიტუტის განხორციელება, მესამე პირის სტატუსის მინიჭების საფუძველი ვერ გახდება.¹⁰⁰

მესამე პირის მონაწილეობით დადებულ მოტყუებით გარიგებაში უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: თუ ვინ იღებს სარგებელს გარიგებიდან, როგორია კონტრაქტის აღქმა ტყუილთან მიმართებით და რამდენად კეთილსინდისიერია იგი, თუ ნების მიმღებმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა მესამე პირის ტყულის შესახებ გარიგების ბათილობის საფუძველი ვერ გვექნება, ცოდნის შემთხვევაში კი შეცილება უნდა განხორციელდეს არა მესამე პირის მიმართ, არამედ ნების მიმღების მიმართ.¹⁰¹ იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი, როცა გარიგება მოტყუების ხასიათს აატრებს მესამე პირის მხრიდან, მაგრამ ამის შესახებ არცერთი მხარე არ ფლობს ინფორმაციას, შეცილება მესამე პირის მიმართ უნდა განხორციელდეს.¹⁰²

მესამე პირად ვერ მივიჩნევთ, ასევე, ნების მიმღების მინდობილ პირს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედ პირს, იმ შემთხვევაშიც კი თუ გარიგების მოწონება შემდგომში მოხდება. განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში, გამყიდველი არ წარმოადგენს მესამე პირს და მოტყუების შემთხვევაში, ნების გამომვლენს შეუძლია მოთხოვნის განხორციელება უშუალოდ გამყიდველის მიმართ, ისეთ პირობებში, როდესაც გამსესხებელმა არა იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ გამყიდველი იტყუებოდა.¹⁰³ მესამე პირის მაგალითს წარმოადგენს, მაკლერი, რომელიც იდეაში არ მოქმედებს არცერთი მხარის ინტერესებში, მას აკისრია თავისი ფუნქცია, რომლის განხორციელებისთვისაც იღებს გარკვეულ სარგებელს.¹⁰⁴ მესამე პირად გვევლინება, აგრეთვე, ნოტარიუსი და სასამართლო დავისას მორიგების

¹⁰⁰ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 83 გვ. 243; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 83, მე-4 ველი;

¹⁰¹ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი (I ზოგადი ნაწილი), 2001, გვ. 295;

¹⁰² იქვე.

¹⁰³ კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-7 ველი; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-6 ველი;

¹⁰⁴ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 83 გვ. 243; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-6 ველი;

პროცესში ჩართული მოსამართლე.¹⁰⁵ მესამე პირის ცნება მნიშვნელოვნად დაკავშირებულია „წინარე სახელშეკრულებო პასუხისმგებლობასთან“, რადგან თითოეული მხარე ვალდებულია წინასახელშეკრულებო ეტაპზეც არ მიმართოს ტყუილს, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება შესაბამისი პასუხისმგებობის საკითხი, რომლის დროსაც შესაძლებელია გარდა სსკ-ის 83-ე მუხლისა სსკ-ის 396-ე მუხლის გამოყენების საჭიროება დადგეს.¹⁰⁶ თავდებობის ხელშეკრულებისას, იმ პირობებში როდესაც თავდები კისრულობს ვალდებულების შესრულებას, მაგრამ ეს უკანასკნელი განპირობებულია მოვალის ბოროტი განზრახვით, თავდები მესამე პირად გვევლინება და შესაძლებელია დადგეს სსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები.¹⁰⁷ თუ სტყუის მესამე პირი, გარიგების შეცილების უფლება წარმოიშვება, თუ ნების მიმღებმა იცოდა ტყუილის შესახებ ან უნდა სცოდნოდა. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, შეცილების უფლება არსებობს, როდესაც კონტრაქტს ეკისრებოდა ვალდებულება გამოეკვლია, ჰქონდა თუ არა ადგილი ნების გამოვლენის თავისუფლებაში ჩარევას. თუ რა სახის გაუფრთხილებლობა იქნება, აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.¹⁰⁸

ბ.სარგებლის მიმღები

სარგებლის ცნებაში იგულისხმება უფლებები და მოთხოვნები.¹⁰⁹ სარგებლის მიმღებმა მხარემ „თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა,, ურთიერთობაში გამოდის, როგორც მესამე პირის თანამონაწილე, ამდენად მოთხოვნა მიემართება არა მესამე პირისკენ, არამედ სარგებლის მიმღები არაკეთილსინდისიერი მხარის მიმართ. იმ ვითარებაში, კი, როდესაც გარიგება იდება მესამე პირის სასარგებლოდ და მომტყუებელსაც ეს უკანასკნელი

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის #ას-182-171-2014 განჩინება; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-7 ველი;

¹⁰⁶ იქვე, მუხ. 83, მე-4 ველი.

¹⁰⁷ იქვე, მე-8 ველი.

¹⁰⁸ იქვე, მე-19 ველი.

¹⁰⁹ ვერესელიძე, ვერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. ; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ.81, მე-9 ველი; ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია აზრი იმასთან მიმართებით, რომ სარგებლის ცნებაში არ უნდა მოიაზრებოდეს, მხოლოდ სამართლებრივი სარგებელი, არამედ ფაქტობრივი სარგებელიც.

წარმოადგენს, შეცილება მის მიმართ ხორციელდება.¹¹⁰ თუმცაღა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისას, შესაძლებელია შეცილების უფლება გამოირიცხოს, იმ მიზეზით, რომ მესამე პირმა შესაძლებელია მიიღოს ფაქტობრივი სარგებელი და არა სამართლებრივი, რაც არ მოიაზრება შეცილების საფუძვლად, ამდენად, გაზიარებული უნდა იქნეს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკა ამ საკითხთან მიმართებით, კერძოდ, შეცილების უფლებით უნდა აღიჭურვოს მოტყუებელი კონტრაქტთან მიმართებით.¹¹¹ ამ კუთხით თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ვალის გადაკისრების სამართლებრივი ინსტიტუტი(203-ე მუხ), რა დროსაც მესამე პირს წარმოადგენს თავდაპირველი მოვალე, რომელსაც შეუძლია მის სასარგებლოდ წარმართოს ურთიერთობა, კერძოდ შესთავოს ახალი მოვალე, რომლისგანაც ვერ შეძლებს კრედიტორი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. იმის გათვალისწინებით რომ სამართლებრივ სარგებელს, როგორც ასეთი ახალი მოვალე არ იღებს, შეცილების უფლებაც გამოირიცხება სსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.¹¹² აგრეთვე, შეცილების უფლების უსამართლო გამოირიცხვამდე შესაძლებელია მივიდეთ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების შემთხვევაში (სსკ-ის 349-ე). მესამე პირად ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვევლინება პირი, რომელსაც არ გააჩნია მოთხოვნის უფლება, შესაბამისად არ იღებს სამართლებრივ სარგებელს, თუმცაღა ფაქტობრივ სარგებელს იღებს. ვალის გადაკისრების შემთხვევის მსგავსად მესამე პირის მიერ მოტყუებისას, რომლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს კრედიტორი, დაზარალებული მოვალე ვერ იმართავს შეცილების უფლებას.¹¹³ უსამართლო შედეგამდე მიყვაროთ სარგებლის მიღების დანაწესის არსებობას მეოთხე პირის მხრიდან მოტყუებისას, კერძოდ, როდესაც, სარგებლის მიმღებმა არ იცის აღნიშნულის თაობაზე, კონტრაქტიც თავის მხრივ კეთილსინდისიერია, არ იცის მოტყუების შესახებ და არც უნდა სცოდნოდა. დგება პრობლემური საკითხი თუ ვის უნდა მიანიჭოს სამართალმა უპირატესობა სარგებლის მიმღებს, რომელიც ცალკე აღებული არ არის ტყუილის

¹¹⁰ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 83 გვ. 243;

¹¹¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 83, მე-12 ველი;

¹¹² იქვე, მე-10 ველი.

¹¹³ იქვე, მე-11 ველი.

თანამონაწილე, თუ მოტყუებულს, რომელსაც თავის მხრივ აქვს უფლება ნების თავისუფლების ხელყოფის საფუძველით გარიგება გახდოს საცილო.¹¹⁴

გ. შეცილების აღრესატი

შეცილების აღრესატის ერთმნიშვნელოვან იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა სსკ-ის 83-ე მუხლის დისპოზიცია. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბება მოხდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი და მეორე წინადადებების შერწყმის ხარჯზე. ერთი მხრივ, ეს შეიძლება იყოს მესამე პირი, მეორე მხრივ კი ნების მიმღები. თუ ვინ უნდა დასახელდეს შეცილების აღრესატად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს გარემოებების შეფასებიდან გამომდინარე.¹¹⁵

6.1 ორმხრივი ტყუილი

მოტყუებით დადებული გარიგება სამართლებრივმა წესრიგმა იმიტომ მიიჩნია საცილო გარიგებად, რომ აუცილებელი იყო ნების თავისუფლების და ნების გამომვლენის ნდობის დაცვა კონტრაქტის კეთილსინდისიერებასთან მიმართებით. ამდენად საცილოობის საფუძველი სწორედ, რომ ეს დანაწესებია. სხვა ვითარება გვაქვს, როდესაც ორივე მხარე არაკეთილსინდისიერის ამპლუაში გვევლინება, კერძოდ, როცა ორივე მხარე სტყუის. ამ შემთხვევაში სამართალმა ამგვარი შემთხვევა გააიგივა იმ ვითარებასთან, როცა არცერთი მხარე არ ტყუის. შეფასების საგანი არ ხდება, თუ, რომელი მხარის ტყუილი გადასწონის, რამეთუ, 81-ე და 83-ე მუხლი ერთი და იმავე სიკეთეს იცავს.¹¹⁶ სამართლიანი გადაწყვეტაა, როცა პირი თავად ტყუის, წაერთვას უფლება საკუთარი შესრულების გამოთხოვაზე. შეცილების უფლების მინიჭება სამართლებრივმა წესრიგმა იმ მიზნით განამტკიცა, რომ კეთილსინდისიერი მხარე დაეცვა არაკეთილსინდისიერ კონტრაქტთან ურთიერთობისას, თუმცა, როცა თავაც არაკეთილსინდისიერია შეცილების უფლების მისთვის მინიჭება ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს. სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომ არ გვქონოდა სახეზე, მაშინ ამგვარი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად

¹¹⁴ იქვე, მე-16 ველი.

¹¹⁵ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 345

¹¹⁶ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 83 გვ. 244-145; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 83, მე-21 ველი;

დაგვჭირდებოდა სსკ-ის 976-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელთა გამოყენებაც იგივე შედეგამდე მიგვიყვანდა. შესაბამისად ამგვარი ჩანაწერის არსებობა უფრო მოქნილს ხდის ასეთი შემთხვევების გადაწყვეტას.¹¹⁷ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1270-ე მუხლიდან ირკვევა მსგავსი მიდგომა, კერძოდ ორმხრივი ტყუილი არ იძლევა შესაძლებლობას გარიგების ბათილობა იქნეს მოთხოვნილი.¹¹⁸

7. მოტყუებით დადებული გარიგების გამიჯვნა თაღლითობისგან

მოტყუებით დადებული გარიგება იძლევა საშუალებას, საკითხი შეფასდეს, არამართო სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით, არამედ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხითაც. სსკ-ის 180-ე მუხლი და სსკ-ის 81-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში შეიძლება ერთი და იგივე შემთხვევა მოექცეს. მათ შორის ზღვრის გავლება კი პრობლემურია და ხშირ შემთხვევაში განხილვის საგანიც ხდება.¹¹⁹

მთავარი სახელმძღვანელო ელემენტი უნდა იყოს ნორმათა დაცვის ობიექტი, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთეა. სისხლისამართლებრივი ნორმის დასაცავი ობიექტია მოტყუებულის ქონება, ხოლო სსკ-ის 81-ე მუხლი იცავს ნების თავისუფლებას და ნდობას კონტრაქტის კეთილსინდისიერებაზე. უფრო მეტიც, სსკ-ის 82-ე მუხლი პირდაპირ აღგენს, რომ მნიშვნელობა არ აქვს „არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა თუ არა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ მხარისთვის ზიანის მიყენებას“. სამოქალაქო წესით სასამართლო არ იკვლევს მოტყუების მოტივს, რადგან, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია დადგინდეს ფაქტი-მოტყუების შესახებ. სისხლის სამართლებრივი წესით

¹¹⁷ რუსიაში/ევანტაშილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 146 და შემდგომში, გვ. 161 და შემდგომში; რუსიაში, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 83, მე-24 ველი.

¹¹⁸ იხ. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1270-ე მუხლი (For fraudulent misrepresentation to render a contract null and void, it must be serious and must not have been used by the both contracting parties); კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 348;

¹¹⁹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 81, გვ. 242;

ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ურნალი #2, 2011, გვ. 200.

კი ყოველთვის დგინდება დანაშაულის მოტივი, რომელსაც თაღლითობის შემთხვევაში წარმოადგენს ქონებრივი სარგებლის მიღება.¹²⁰

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, როდესაც პირი მოტყუებით ეუფლება სხვის საკუთრებაში არსებულ ნივთს ან მის ქონებრივ უფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სახეგა თაღლითობის შემადგენლობა. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ის გარემოება, რომ დამნაშავე ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებად იყენებდეს მოტყუებას. თაღლითობის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია რომ მოტყუება, როგორც ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების კონკრეტული საშუალება – ხერხი, წინ უსწრებდეს თაღლითის მიერ ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების ფაქტს. ამასთან, მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან/და გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის ან მფლობელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. მოცემული დანაშაულის სპეციფიკურ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გარეგნულად ქონების თუ ქონებრივი უფლების გადაცემა დამნაშავისათვის ხორციელდება ნებაყოფლობით, თავად დაზარალებულის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი ან გამოყენებულია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული ნდობის ფაქტორი.¹²¹

თაღლითობის შემადგენლობის ელემენტია მოტყუება, ქონების დაუფლების მიზნით. მოტყუებით დადებულმა გარიგებამ იმ შემთხვევაში შეიძლება დააყენოს საკითხი სისხლისამართლებრივ ჭრილში განსახილველად, როცა დამდგარი ზიანი გამოიხატება ქონების მითვისებაში. მოტყუება თაღლითობის შემთხვევაში წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხერხს, რომლის მეშვეობით ხდება დასახული მიზნის სისრულეში მოყვანა, ხოლო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოტყუება, არის ერთადერთი გზა ნების გამომვლენზე იმგვარი მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებისა, რომლის საშუალებით ავლენს პირი ნებას, უფრო კონკრეტულად, რომ არა ტყუილი, არც გარიგება არ იქნება სახეგე. სსსკ-ის 180-ე მუხლით ქმედება კვალიფიციირდება იმ პირობებშიც, როდესაც

¹²⁰ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 345; ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 82, 1-ლი ველი;

¹²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის №1ბ/102-13 გადაწყვეტილება.

ნდობის ბოროტად გამოყენებას აქვს ადგილი, რაც უცხოა მოტყუებით დადებული გარიგების ობიექტური შემადგენლობისთვის.¹²²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის განჩინებიდან (ი 1276-აპ), იკვეთება მოტყუებით დადებული გარიგების გამიჯვნა თალლითობისგან, კერძოდ თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს იგი. მომტყუებლის მიზანს წარმოადგენდა თანხების მითვისება, რისთვისაც გაავრცელა ინფორმაცია თითქოსდა არსებობდა ტურისტული ბიურო, რომელის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო ამერიკაში წასვლა და დასაქმება გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. სასამართლოს მიერ მომტყუებლის ქმედება შეფასდება სისხლისამართლებრივი წესით, თუმცადა უზენაესი სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმებულიყო ნაწილობრივ, რამეთუ სისხლისამართლებრივი წესით მსჯავრდებულისთვის ზიანის მიყენებისთვის შესაბამისი სასჯელი არ იყო კანონიერი, იმ პირობებში, როდესაც მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის დადებული იყო არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ხელშეკრულება. სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა სადავო ურთიერთობა უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლებრივი წესით და არა სისხლისამართლებრივი, რამდენადაც ვერ დადგინდა ნდობის ბოროტად გამოყენება ან სხვისი ქონების მითვისება, რაც სისხლის სამართლისთვის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია.¹²³

სამოქალაქო სამართლის მიზნებისთვის სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი ვერ გახდება გარიგების ბათილობის საფუძველი. გარიგების ბათილობა სამოქალაქო სამართლებრივ კონექსტში შესაასებელი კატეგორიაა და მართლოდენ მოტყუების ფაქტი საკმარისი არ არის გარიგების ბათილობისთვის. აღნიშნული მიზნით, ამოსავალი კრიტერიუმი გამოვლენილი ნების ნამდვილობა და გარიგების მონაწილეთა სუბიექტური დამოკიდებულების შეფასებაა. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე

¹²² ლეკვეიშვილი მ., თოღუა ნ., გვენეტაძე ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ, 2008, მუხ.180, გვ. 368-370; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ 202;

¹²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის განჩინება(ი 1276-აპ); ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ 201;

გამოტანილ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საქმის განხილვისას არ ენიჭება პრეიდიციული ძალა. სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენზე დაყრდნობასთან მიმართებით და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ქმედების შეფასებისა და აღნიშნული ქმედების თანმდევი შედეგების მატერიალურ სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეფასების კრიტერიუმები თავისი თანმდევი შედეგებით სამოქალაქო სამართალწარმოებაში ინდივიდუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით დადგენილი მოტყუების ფაქტი შეიძლება სამოქალაქო წესით არ წარმოადგენდეს ქმედების ისეთ შემადგენლობას, რომელიც გარიგების ბათილობას იწვევს. პალატის მოსაზრებით სისხლის სამართლის საქმეზე არსებული განაჩენით დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება მტკიცებულებას წარმოადგენს დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მსჯავრებულის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შემთხვევაში და არა გარიგების ბათილობის მოთხოვნით გამართულ სამოქალაქო სამართალწარმოებაში. აქედან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში შეიძლება სულ სხვაგვარი შეფასება მიეცეს, ვიდრე აღნიშნული სისხლის სამართლის წესით არის დადგენილი.¹²⁴

8. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი არის ის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვნად წყვეტს სასამართლო დავის შედეგებს, იმ პირობებში, როდესაც მოქმედებს შეჭიბრებითობის პრინციპი, მტკიცება ამა თუ იმ ფაქტის განაპირობებს მოთხოვნის დაკმაყოფილება არ დაკმაყოფილებას. მოტყუებით დადებული გარიგების, კერძოდ მოტყუების ფაქტის მტკიცებას სამოქალაქო კოდექსი შემცილებელს აკისრებს, იგი ვალდებულია დაამტკიცოს თითოეული ფაქტობრივი გარემოება, რასაც მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნაში.¹²⁵ მომტყუებელმა

¹²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის #2ბ/4378-10 გადაწყვეტილება.

¹²⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, 31-ე ველი; BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p.305.

სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს, რომ მოტყუების ფაქტი იყო არსებითი, რომელსაც დაეყრდნო იგი და გადაანყვეტინა გარიგებაში შესვლა.¹²⁶

იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგება განაპირობა დუმილით მოტყუებამ, შემცილებელს ამ შემთხვევაშიც ეკისრება მტკიცების ტვირთი, კერძოდ იგი ვალდებულია დაადასტუროს, რომ ნების მიმღები ფლობდა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნების ვალდებულებაც ხელშეკრულების დადებამდე ეკისრებოდა კეთილსინდისიერების პრინციპიდან და სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული წესებიდან გამომდინარე. თუ მსგავსზე მიუთითებს მოსარჩელე, მოპასუხეზე გადადის მტკიცების ტვირთი, ეს უკანასკნელი ვალდებული ხდება ამტკიცოს განახორციელა თუ არა გამჟღავნების ვალდებულებაში შემავალი ინფორმაციის მხარისთვის მიწოდება, რომელიც შემდგომ კვლავ უნდა უარყოს ნების გამომვლენმა.¹²⁷ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, მტკიცების ტვირთის შემცილებლისთვის დაკისრებას იქნება ეს განზრახვა, მართლწინააღმდეგობა თუ მიზგზობრივი კავშირი.¹²⁸

ინგლისში 1889 გამოქვეყნდა პრეცედენტი მტკიცების ტვირთზე (Proof of fraud) საქმეში Derry v Peek. ლორდთა პალატამ განსაზღვრა მოტყუების დეფინიცია და აქედან გამომდინარე მოსარჩელის მტკიცების ტვირთში შემავალი ელემენტები. მოტყუება სასამართლოს განმარტებით არის განზრახ შეცდომაში შეყვანა, გაცნობიერებულად ან მხარის მხრიდან დაურწმუნებლობა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიმართლეში. მოსარჩელე ვალდებული იყო დავის მის სასარგებლოდ დასრულების მიზნებისთვის დაედასტურებუნა ეს უკანასკნელი. მოტყუების დადგენის შემთხვევაში კი მომტყუებლის მოტივი არ იყო არსებითი სასამართლოსთვის.¹²⁹

9. შეცილება

¹²⁶ Nancy. S. Kim., Relative Consent and Contract Law, 2017 p.199

¹²⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81. 32-ე

ველი;

¹²⁸ იქვე, 33-ე ველი;

¹²⁹ Croxen. C., FRAUD – RIGHTS OF ACTION AND DEFENSES: STATUTE OF FRAUDS DOES NOT PRECLUDE THE ASSERTION OF A DECEIT CLAIM, NORTH DAKOTA LAW REVIEW, 2011, p. 747-748; ANDREWS N., Contract Law, 2011, p. 254; E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 616-617; BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p. 321.

საცილო გარიგებებს ბათილი გარიგებებისგან მიუხედავად იდენტური შედეგისა განასხვავებს, ის, რომ საცილო გარიგება ითვლება ნამდვილად, სანამ შეცილების უფლების მქონე პირი არ გამოიყენებს მსითვის მინიჭებულ უფლებას. აქედან გამომდინარე ის შესრულება, რაც მხარეებმა გარიგების შედეგად მიიღეს კარგავს იურიდიულ ძალს, რამეთუ გარიგება ითვლება დადების მომენტიდან ბათილად.¹³⁰

მოტყუებით დადებული გარიგება საცილო გარიგებათა ჯგუფს მიეკუთვნება იმიტომ, რომ ნების გამოვლენის დროს მოტყუების ფაქტი არ არის ნათელი, განსხვავებით ბათილი გარიგებებისგან, სადაც ბათილობის საფუძველი გარიგების დადების მომენტისთვისაც ცხადია. ¹³¹ შეცილების უფლებით სამართლებრივი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება შეცილების უფლების მქონე პირის მიერ ცალმხრივად. იმისთვის, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ანულირება მოხდეს, საკმარისია „შეცილება მეორე მხარის მიმართ“ და დამატებით სასამართლოთვის მიმართვა არ არის სავალდებულო.¹³²

გერმანული სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფის მიხედვით შეცილების უფლების მოტყუებული მხარისთვის მინიჭება განპირობებულია ნორმით დასული სიკეთიდან გამომდინარე, კერძოდ ნების თავისუფლებაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების დაუშვებლობით. ნების გამოვლენს შეუძლია გარიგების საცილობის საკითხი დააყენოს, როცა ნების გამოვლენა გამოწვეულია არა საკუთარი შეცდომის საფუძველზე, არამედ კონტრაჰენტის მიზანმიმართული მოტყუების ხარჯზე.¹³³ შეცილების უფლება, სხვადასხვა ნორმაზე დაყრდნობით შესაძლებელია არსებობდეს ერთდროულად. მართალია, შეცდომის და მოტყუების კონკურენციის დროს მოტყუებას ენიჭება როგორც წესი უპირატესობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოსარჩელეს შესაძლებელია უპირატეს მდგომარეობაში აყენებდეს შეცდომის საფუძველით შეცილება, იმდენად, რამდენადაც, შეცდომის საფუძველით დავა არ საჭიროებს მოტყუების ფაქტის

¹³⁰ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 393; კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი (I ზოგადი ნაწილი), 2009, გვ. 270; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის უკრძალი #2, 2011, გვ. 212.

¹³¹ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 59, გვ. 196;

¹³² ვერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 270.

¹³³ კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 1-ლი ველი;

მტკიცებას, რომელიც მოსარჩელე მხარეს მტკიცების ტვირთში შემავალი ელემენტია.¹³⁴

მოტყუებულს შეცილების უფლება წარმოეშვება არამხოლოდ გარიგების ბათილობაზე, არამედ „შესრულების გარიგებაზეც“. რაც განპირობებულია იმით, რომ მოტყუებულის არ განახორცილებდა ფაქტობრივ შესრულებას, რომ არა მოტყუება და მისი თანმდევი გარიგება. შესაბამისად შემცილებელს აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ მოტყუებით დადებული გარიგებიდან გამომდინარე გადაცემული ქონების უკან დაბრუნება.¹³⁵ მსგავსი მიდგომა არის ინგლისურ სამართალშიც, ნასყიდობის შემთხვევაში მყიდველმა უნდა დააბრუნოს ნაყიდი ნივთი, ხოლო გამყიდველმა თავს მხრივ სახელშეკრულებო თანხა.¹³⁶

მოტყუებით დადებული გარიგებისას მოტყუებულს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია გარიგების ბათილობის მოთხოვნა, უფრო მეტიც, მას სხვა საცილო გარიგებებისგან განსხვავებით ბევრად მეტი დრო აქვს სადავოდ გახადოს გარიგება, კერძოდ აღნიშნულ ვადას შეადგენს ერთი წელი შეცილების საფუძვლის არსებობის შეტყობის მომენტიდან.¹³⁷ იმისთვის, რომ პირმა სასამართლოს მიმართოს აუცილებელია ჰქონდეს მყარი ცოდნა სათანადო მტკიცებულებებით გაჯერებული, რომ მოტყუებას ჰქონდა ადგილი, აღნიშნული ვერ იქნება გაუფრთხილებლობით არცოდნის იდენტური. მართალია თითოეული შემადგენელი ფაქტის ცოდნა არ არის აუცილებელი, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ეჭვი ვერ იქნება საკმარისი შეცილების უფლების გამოყენებისათვის.¹³⁸ შეცილების უშუალოდ განხორციელების შემდეგ კი ნების მისვლის საკითხი უნდა გააღწეოს სსკ-ის 51-ე მუხლის შესაბამისად.¹³⁹

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოპასუხის წინააღმდეგ პროკურატურისადმი მიმართვა მოტყუების ფაქტთან დაკავშირებით არ იწვევს სასარჩელო

¹³⁴ იქვე, მე-14 ველი; (BGH NJW-RR, 1996, 1281, 1282); (BGHZ, 78, 216, 221)

¹³⁵ იქვე, მე-9 ველი;

¹³⁶ BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p.307.

¹³⁷ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; კიკოშილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 84, 1-ლი ველი;

¹³⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 84, მე-მე-4 ველი;

¹³⁹ იქვე, მე-6 ველი.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას. პროკურატურა არ არის ის ორგანო, რომელსაც შეუძლია, დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე.¹⁴⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც შეცილების ერთ წლიან ვადას ითვალისწინებს ტყუილის აღმოჩენის მომენტიდან, ხოლო საფრანგეთის სამართლის მიხედვით აღნიშნული ვადა, აგრეთვე შეცილების მომენტის შეტყობიდან წარმოდგენს ხუთ წელს.¹⁴¹

9.1 შეცილების უფლების გამომრიცხავი გარემოებანი

ა.ერთწლიანი ვადის გასვლა

შეცილება დასაშვებია საცილობის საფუძვლების შეტყობიდან ერთი წლის ვადაში, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ პირს მოთხოვნა ფაქტობრივად განუხორციელებელი რჩება, თუმცაღა ინარჩუნებს სხვა მოთხოვნებს სათანადო საფუძვლების არსებობისას. ერთწლიანი ვადა წარმოდგენს უფლების გამომრიცხავ ვადას, შესაბამისად უნდა შემონმდეს არამხოლოდ მოპასუხის მიერ მითითებისას, არამედ სასამართლოს მხრიდანაც.¹⁴²

გამომრიცხავი ვადის დენის შეჩერება შესაძლებელია სსკ-ის 132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა. მართალია აღნიშნული ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ეხება, მაგრამ ანალოგიის გამოყენების საშუალებით შესაძლებელია უფლების გამომრიცხავ ვადაზეც გავავრცელოთ.¹⁴³

ბ.უფლების პრეკლუზია

¹⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის #2ბ/4378-10 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 სექტემბრის #ას-884-2018 განჩინება;

¹⁴¹ Beale H., Hartkamp A., Tallon D., Köst H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002, , p. 339.

¹⁴² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 84, მე-8-9-ე ველი; Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, p. 294; See Case Leaf v International Galleries.

¹⁴³ რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ 165-166.

უფლების პრეკლუზიისას უფლების გამორიცხვის საფუძვლებში ერთვება ნდობისა და კეთილსინდისიერების გათვალისწინების აუცილებლობა. ეს არის შემთხვევა, როდესაც შეცილების უფლების მქონე არ იყენებს ამ უფლებს, მოქმედებს თავის ინტერესებში და მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდგომ სურს გარიგების ბათილობა. მართალია მოტყუება არსებობს, მაგრამ ნების მიმღების მხრიდან გასაკიცხი ქმედების მიუხედავად, იგი არ არის ხელშემშლელი გარემოება ხელშეკრულების განხორციელებისთვის. მაგალითისთვის, როდესაც დამსაქმებელი აცნობიერებს დასაქმებულის მხრიდან ტყუილის ფაქტს, მაგრამ არ ამახვილებს აღნიშნულზე ყურადღებას. დასაქმებულს კი წარმოეშვება ნდობა დამსაქმებლის მიმართ, რაც დაცვის ღირსი ხდება.¹⁴⁴

გ. დადასტურება

გარიგების დადასტურება, არარა გარიგებებისგან განსხვავებით არ წარმოადგენს გარიგების ხელშეკრულებას. საცილო გარიგების დადასტურებით შეცილების უფლების მქონე პირი თავად ამბობს უარს ამ უფლების გამოყენებაზე და გარიგებას კი არ აქარწყლებს არამედ ძალაში ტოვებს. დადასტურება შესაძლებელია, როგორც აქტიური მოქმედებით ასევე, უმოქმედობით, კერძოდ დუმილით, როცა შეცილების უფლების მქონემ იცის შეცილების საფუძვლები, მაგრამ დუმს.¹⁴⁵

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი მეორადი მოთხოვნების გამოყენება ავტომატურად არ ნიშნავს შეცილებაზე უარის თქმას და არც მის დადასტურებას გულისხმობს. თუმცაღა შეცილების უფლების გამოყენება გამორიცხავს მეორად მოთხოვნებზე უფლებას.¹⁴⁶

ინგლისური სამართლის მიხედვით დადასტურება, წარმოადგენს გარიგების ბათილობისთვის შეცილების უფლების გამომრიცხავ გარემოებას. მას შემდეგ რაც მოტყუებული შეიტყობს ნების მიმღების მხრიდან მოტყუებას, მაგრამ იგი მაინც

¹⁴⁴ იქვე, მე-12 ველი.

¹⁴⁵ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 61, გვ. 199; E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 2012, p. 601.

¹⁴⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, 28-ე ველი; იხ. საპირისპირო პოზიციით ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 61, გვ. 200, „დადასტურება არ ნიშნავს ზიანის ანაზღაურების უფლებაზე ხელის აღებას“.

აგრძელებს გარიგებას, ადასტურებს მას, კარგავს შეცილებაზე უფლებას. მაგალითად პირმა შეიძინა ავტოსატვირთო მანქანა, მხოლოდ ყიდვის შემდგომ აღმოაჩინა ნაკლი. თავის მხრივ გამყიდველმა შესთავაზა რემონტისთვის გარკვეული თანხა, რომელზეც დათანხმდა მოტყუებული მხარე და გარიგება დატოვა იურიდიული ძალის მქონე.¹⁴⁷ დადასტურება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც სიტყვით, ასევე მოქმედებით, რომლიდანაც იკვეთება განზრახვა მასზედ, რომ შეცილების უფლების მქონე პირი ადასტურებს გარიგებას.¹⁴⁸

10. კონკურენცია სხვა სამართლებრივ ნორმებთან.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ მოთხოვნათა კონკურენცია გვაქვს სახეზე, როდესაც ერთი დ აიმავე ფაქტობრივ გარემოებებთან გვაქვს საქმე, ან როდესაც მხარეები ერთი და იმავენი არიან. თუმცაღა აღნიშნული სწორად არის გაკრიტიკებული, რომ არ უნდა განიხილებოდეს კონკურენციის საფუძვლად, რამეთუ ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებებიდან სრულებით შესაძლებელია სხვადასხვა მოთხოვნის განვითარება. არც მოდავე მხარეების იდენტურობა განაპირობებს ცალსახად მოთხოვნათა კონკურენციას. უფრო სწორი განმარტება კონკურენციის წარმოშობისა, რომელსაც საფუძვლი ავითარებს უნდა იყოს სარჩელის მიზნის დამთხვევალობა.¹⁴⁹

მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია გვაქვს სახეზე, როდესაც მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა ერთი მიზნისკენ მიმართული ერთი და იმავე მოთხოვნა სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაფუძნოს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარის ინტერესებს, გამოსაყენებელ ნორმას კი კონკურენციის შემთხვევაში სასამართლო ირჩევს, იმდენად, რამდენადაც მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს ფაქტებზე, რომლებითაც ამყარებს მის მოთხოვნას, ხოლო სასამართლო თავის მხრივ ვალდებულია სამართლებრივი შეფასება მისცეს სასარჩელო მოთხოვნას. მოთხოვნის საფუძველთა შერჩევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დადგინდეს ხანდაზმულობის საკითხი და შემდგომ განისაზღვროს მოთხოვნის

¹⁴⁷ Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT,, p.. 294; See Case Long v Lloyd.

¹⁴⁸ , BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p. 314

¹⁴⁹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 24.

დამფუძნებელი ნორმა¹⁵⁰ თუმცაღა ირთი და იმავე მიზანზე მიმართული სარჩელის ორჯერ და მეტჯერ წარდგენა უნდა გამოირიცხოს, რადგან წინააღმდეგობაში მოდის თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპთან, ასევე ცდება კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებს, როდესაც მოთხოვნები მიმართული ერთი და იმავე მიზნისკენ პარარელურად განიხილება. ამგვარ ვითარებაში ვიღებთ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რაც ცალსახად დაუშვებელია.¹⁵¹

ა.შეცდომით და მოტყუებით დადებულ გარიგებათა კონკურენცია

მოტყუებით დადებული გარიგების დროს ნების მიმღები შეცდომაში შეყვანით იყოლიებს ნების გამომვლენს გარიგების დადებაზე, შესაბამისად, შესაძლებელია დაისვას საკითხი გარიგების ბათილობა მხარემ რომელ ნორმას უნდა დააფუძნოს, შეცდომის თუ მოტყუების.¹⁵² მოტყუებით დადებული გარიგების დროს ნების გამომვლენი შეცდომით ახდენს ნების ფორმირებას, რაც გამონვეულია მომტყუებლის ქმედებითა თუ უმოქმედობით, მაგრამ თუ რა სახის შეცდომას გამოიწვევს ეს უკანასკნელი მასში არ არის მნიშვნელოვანი გარიგების მოტყუებით დადებული გარიგებს ნორმებზე დაყრდნობით საცილოდ გახდომისთის.¹⁵³

დასახელებულ ნორმათა კონკურენციისას შეცილების უფლების მქონე პირს, რომელიც უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს დავის მის სასარგებლოდ გადანყვეტის მიზნებიდან გამომდინარე ის საფუძველი უნდა შეირჩეს. ხანდაზმულობის თვალსაზრისით მოტყუებით შეცილება ბევრად ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მოსარჩელეს, რადგან სსკ-ის 84-ე მუხლი შეცილების ერთ წლიან ვადას ადგენს, განსხვავებით შეცდომის საფუძველზე შეცილებისა, რომელიც ითვალისწინებს შეცილების ერთ თვიან ვადას (სსკ-ის 79-ე მუხ).¹⁵⁴

¹⁵⁰ იქვე, გვ. 32 და შემდგომნი.

¹⁵¹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 25

¹⁵² ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379.

¹⁵³ ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ 207-208; კროპჭოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-5 ველი;

¹⁵⁴ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379-380; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, 25-ე ველი;

ბ. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი მეორადი მოთხოვნებისა და მოტყუებით დადებულ გარიგებათა კონკურენცია.

შეცდომის საფუძვლის კონკურენცია მოტყუებასთან მიმართებით არ არის ერთადერთი შემთხვევა კონკურენციისა, არამედ კონკურენციის საკითხი შესაძლებელია დადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი მეორადი მოთხოვნებისა და მოტყუებით დადებულ გარიგებას შორის. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ნასყიდობის ხელშეკრულება, როდესაც, გამყიდველი ნაკლიან ნივთს გადასცემს მყიდველს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოტყუებულს შეუძლია მოთხოვნა დააფუძნოს, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, ასევე მოტყუებით დადებული გარიგების ნორმებით. მყიდველმა თავად უნდა გადანწყვიტოს მისთვის მომგებიანია არჩევანი.¹⁵⁵

გერმანული სამართლის მიხედვით მყიდველს, რომელიც შეიძენს ნაკლიან ნივთს ერთი მხრივ შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების ბათილობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება 823-ე, 826-ე მუხლების მიხედვით ან დაიცვას თავი დაფარული ნაკლისთვის დადგენილი ნორმების საფუძველზე.¹⁵⁶ ინგლისური და ფრანგული სამართალი იძლევა არჩევანის თავისუფლებას მსგავს შემთხვევებში, რაც უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოთხოვნის დაყენებაა სარგებლის მომტანი მოსარჩელისთვის. უფლება დარღვეულს ასევე შეუძლია თავისი მოთხოვნა დააფუძნოს ერთდროულად ორ სხვადასხვა სამართლებრივი ნორმას, რადგან ძირითადი მიზანი მოსარჩელის არის ფაქტობრივად იდენტიური.¹⁵⁷

გ. კანონსაწინააღმდეგო და მოტყუებით დადებულ გარიგებათა კონკურენცია

ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ 208;

¹⁵⁵ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, 27-ე ველი; ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 34.

¹⁵⁶ კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-16 ველი;

¹⁵⁷ Beale H., Hartkamp A., Tallon D., Kötz H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, 2002, , p. 341; BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, 2010, p.192.

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობის საფუძველი შესაძლებელია კონკურირებდეს კანონსაწინააღმდეგო გარიგების ბათილობასთან. სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან იკვეთება, რომ ხშირ შემთხვევაში მოტყუებით დადებული გარიგება კვალიფიცირდება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, რაც არასწორია. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ორმხრივი კანონდარღვევა, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო გარიგებას (სსკ-ის 54-ე მუხ), მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში კი ნების მიძღვრის მხარეზეა კანონდარღვევის ფაქტი.¹⁵⁸

დ. დელიქტური სამართლის ნორმების და მოტყუებით დადებული გარიგების ნორმათა კონკურენცია

მხარეს შესაძლებლობა აქვს იდავოს ზიანის ანაზღაურებაზე დელიქტური სამართლის ნორმებიდან, ასევე, მოტყუების შესაბამისი საფუძველებით. არჩევანის წინაშე მოსარჩელე შესაძლებელია დადგეს, როცა საქმე ეხება უხარისხო პროდუქტიდან გამომდინარე დამდგარ ზიანს. მართლწინააღმდეგობის დადგენა უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით.¹⁵⁹

¹⁵⁸ ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, 2011, გვ 202; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, 29-ე ველი;

¹⁵⁹ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380; რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 81, 30-ე ველი;

III დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით ქართულ და უცხოურ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული თეორიები და მიდგომები. გამოირკვა მათ შორის მსგავსება- განსხვავებები.

თემის ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა. უპირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მოტყუებით დადებული გარიგების სამართლებრივი მონესრიგება მსგავსია ევროპულ ქვეყნებში არსებული მონესრიგებისა, კერძოდ მოტყუება მსგავსად კვალიფიცირდება გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, ნიდერლანდებისა და იტალიის სამოქალაქო კოდექსებში. მოტყუება მსგავსად არის შეფასებული ევროპული სახელმწიკრულობო პრინციპებშიც.

უნდა გაიმიჯნოს ფაქტობრივი ტყუილი და საკუთარი აზრიდან გამომდინარე მხარისეული შეფასება, რომელიც არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ტყუილთან. ფაქტობრივი ტყუილი უნდა იყოს დადასტურებული ფაქტი, რომელიც ნების მიმღებს გაცნობიერებული აქვს, რომ არის არასწორი ინფორმაცია და განიზრახავს მხარე მოტყუების გზით დაიყოლიოს გარიგებაზე. ტყუილი აგრეთვე ღვინდება, როდესაც მომტყუებელი არ არის დარწმუნებული მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეში, ან უთანხმდება ნების გამომვლენს გარკვეულ გარემოებაზე, შესრულების განზრახვის გარეშე. მხარე, რომელიც ახდენს განცხადების გაკეთებას გარკვეულ ფაქტებთან მიმართ საკუთარი აზრის ფორმირების ხარჯზე უნდა მიუთითოს იმ ფაქტებზე, რომლებმაც განაპირობა მისი შეხედულების ამგვარად ჩამოყალიბება. ივარაუდება, რომ ინფორმაციის მიმწოდებელმა უკეთ იცის იმ ფაქტების შესახებ, რომელსაც ის გადმოსცემს. იმ შემთხვევაში თუკი ნათელია, რომ მას არ აქვს საკმარისი საფუძველი ამგვარი განმარტებისა ან სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული საკითხი, მაგრამ მაინც აფიქსირებს პოზიციას, შესაძლებელია დადგეს საკითხი განზრახ შეცდომაში შეყვანის თაობაზე, რაც გარიგების ბათილობის მოთხოვნის რეალური საფუძველი შესაძლებელია გახდეს.

დუმილით მოტყუებისას მნიშვნელოვანია გამჟღავნების ვალდებულების დაცვა, რომლის დარღვევის შემთხვევაში ვიღებთ მოცემულობას ურთიერთობისა, სადაც

ნების გამომვლენს არ ექმნება რეალური და ობიექტური წარმოდგენა გარიგების შინაარსზე, რაც იწვევს მის მიტყუებას. ამდენად ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მისი გაცემის ვალდებულება კი უნდა განისაზღვროს სახელშეკრულებო ურთიერთობის ხასიათიდან, კეთილსინდისიერებისა და სამოქალაქო ბრუნვის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე. გამჟღავნების ვალდებულება ფაქტობრივად იდენტურად განიმარტება ევროპულ კოდიფიკაციებშიც, განსხვავებული მიდგომით ხასიათდება ინგლისური სამართალი, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილია ნეგატიური ვალდებულება ტყუილის არ თქმის შესახებ და არა პოზიტიური ვალდებულება- სიმართლის გამჟღავნების თაობაზე.

განხილულ იქნა სასამართლო პრაქტიკა და დაგინდა შემდეგი პრობლემები. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ე.წ „თვალსაჩინოების სტანდარტის“, თანახმად, „მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი“. საკითხის ამგვარად გადანწყვეტა იწვევს იმ პირთათვის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას, რომლებიც მოტყუვდნენ ისეთ პირობებში, როგორშიც შესაძლებელია, რომ სხვა პირები ვერ შემცდარიყვნენ. ამგვარი მიდგომა არათანაბარ პირობებში ამყოფებს არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირებს. სამართლისგან დაცვას საჭიროებს თითოეული ადამიანი, განურჩევლად მათი უნარისა, სწორად შეათვასონ ამა თუ იმ პირის მოქმედება და მიზნები.

მეორე პრობლემატური საკითხი სასამართლოს მიდგომასთან მიმართებით არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დაგენილი პრაქტიკა, კერძოდ წერილობით დადებული გარიგების არსებობისას, პირი, რომელიც ხელს აწერს გარიგებას, ივარაუდება, რომ მის შინაარსს გაცნობილია, რაც ცალსახად გამორიცხავს მოტყუების ფაქტს. სასამართლოს ამგვარი მიდგომა გაკრიტიკებულია იურიდიულ ლიტერატურაში და უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ მისი გაზიარება. იმ დასაბუთებით, რომ რიგ შემთხვევებში მომტყუებლის ქმედება არის საფუძველი არასწორი წარმოდგენისა გარკვეულ ფაქტებთან მიმართებით, შესაბამისად გაუმართლებელია ხელშეკრულების დეტალურად გაცნობიერების მოთხოვნა. ამასთანავე, სასამართლო ამგვარი პოზიციით ფაქტობრივად უგულებელყოფს მომტყუებლის გასაკიცხ ქმედებას, რაც

გამოიხატება განზრახ მოტყუებაში. სასამართლო არ შედის მსჯელობაში დადგინდეს წარმოშობილი ურთიერთობის განმაპირობებელი მართლსაწინააღმდეგო მიზეზები. სწორი მიდგომა იქნებოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ანალიზის შედეგად დადგინდეს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა გასცნობოდა ხელშეკრულებას და რამდენად შესაძლებელია იყოს იგი გამონვეული მისი ბრალით.

მთავარი სახელმძღვანელო ელემენტი მოტყუებით დადებული გარიგების თაღლითობისგან გამიჯვნისთვის უნდა იყოს ნორმათა დაცვის ობიექტი, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთეა. სისხლისამართლებრივი ნორმის დასაცავი ობიექტია მოტყუებულის ქონება, ხოლო სსკ-ის 81-ე მუხლი იცავს ნების თავისუფლებას და ნდობას კონტრაქტის კეთილსინდისიერებაზე. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა სადავო ურთიერთობა უნდა გააღწყდეს სამოქალაქო სამართლებრივი წესით, როდესაც ვერ დგინდება სისხლის სამართლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ნდობის ბოროტად გამოყენება ან სხვისი ქონების მითვისება, რამდენადაც მოტყუებით დადებული გარიგებისთვის სარგებლის მიღების მიზანი არ არის არსებითი ხასიათის მატარებელი.

მესამე პირის მონაწილეობით დადებულ მოტყუებით გარიგებაში უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: თუ ვინ იღებს სარგებელს გარიგებიდან, როგორია კონტრაქტის აღქმა ტყუილთან მიმართებით და რამდენად კეთილსინდისიერია იგი, თუ ნების მიმღებმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა მესამე პირის ტყულის შესახებ, რათა განისაზღვროს თუ ვის მიმართ და რა შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს შეცდომების უფლების გამოყენება. რაც შეეხება შეცილების აღრესატს მისი ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა სსკ-ის 83-ე მუხლის დისპოზიცია, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ნორმის ჩამოყალიბება მოხდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლი და მეორე წინადადებების შერწყმის ხარჯზე. ვირებთ იმგვარ მოცემულობას, რომ , ერთი მხრივ, ეს შეიძლება იყოს მესამე პირი, მეორე მხრივ კი ნების მიმღები. თუ ვინ უნდა დასახელდეს შეცილების აღრესატად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს გარემოებების შეფასებიდან გამომდინარე. ინგლისური სამართალი მესამე პირთან მიმართებითაც სხვაგვარ მიდგომას ავითარებს, კერძოდ, თუ მხარის

გადაწყვეტილება გარიგების დადებაზე მოტივირებული იყო მესამე პირის მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციის ხარჯზე, აღნიშნული ვერ გახდება გარიგების ბათილობის საფუძველი, იმდენად რამდენადაც მესამე პირი არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, შეცილების უფლება კი ინგლისური სამართლის მიხედვით მიმართული უნდა იყოს კონტრაქტისადმი.

მოთხოვნათა კონკურენციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მხარის ინტერესებს, გამოსაყენებელ ნორმა კი კონკურენციის შემთხვევაში სასამართლო უნდა შეარჩიოს, იმდენად, რამდენადაც მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს ფაქტებზე, რომლებითაც ამყარებს მის მოთხოვნას, ხოლო სასამართლო თავის მხრივ ვალდებულია სამართლებრივი შეფასება მისცეს სასარჩელო მოთხოვნას. მოთხოვნის საფუძველთა შერჩევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დადგინდეს ხანდაზმულობის საკითხი და შემდგომ განისაზღვროს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა თუმცადა ირთი და იმავე მიზანზე მიმართული სარჩელის ორჯერ და მეტჯერ წარდგენა უნდა გამოირიცხოს, რადგან წინააღმდეგობაში მოდის თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპთან, ასევე ცდება კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებს, როდესაც მოთხოვნები მიმართული ერთი და იმავე მიზნისკენ პარარელურად განიხილება. ამგვარ ვითარებაში ვიღებთ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რაც ცალსახად დაუშვებელია

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

ზოიძე ბ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 წ.

ზოიძე ბ., გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 1994 წ.

თუმანიშვილი გ., გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბილისი, 2012 წ.

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 წ.

კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა, 2008 წ.

კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი (I ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2001 წ.

კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: დარჯანია თ./ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი, 2014 წ.

ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., მამულაშვილი გ., სიხლის სამართლის კერძო ნაწილი I, თბილისი, 2008 წ.

რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017

რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 82-ე მუხლის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017

რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება 24.12.2017

რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება, 24.12.2017.

რუსიაშვილი გ./ევნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით

სამართალში, თბილისი, 2017 წ.

ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო

სამართალში, თბილისი, 2010 წ.

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა

„სამართალი“, თბილისი, 2011 წ.

ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის ონლაინ

კომენტარი, civilcode.ge, ბოლო დამუშავება, 24.12.2017.

ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში,

თბილისი, 2017 წ.

ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ

ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი #2, თბილისის უნივერსიტეტის

გამომცემლობა, 2011 წ.

ANDREWS N., Contract Law, Cambridge University Press, 2011.

Beale H., Hartkamp A., Tallon D., Kötz H., CASEBOOKS ON THE COMMON LAW OF EUROPE, Contract Law, OXFORD AND PORTLAND, OREGON, 2002

BEATSON J., BURROWS A., CARTWRIGHT J., ANSON'S LAW OF CONTRACT, OXFORD UNIVERSITY PRESS, 29th Edition 2010

Cousy H., The Principles of European Insurance Contract Law: the Duty of Disclosure and the Aggravation of Risk, 2008

Croxen. C., FRAUD – RIGHTS OF ACTION AND DEFENSES: STATUTE OF FRAUDS DOES NOT PRECLUDE THE ASSERTION OF A DECEIT CLAIM, NORTH DAKOTA LAW REVIEW, 2011

E. McKendrick, Contract Law: Text, Cases and Materials, 5th edn, Oxford, 2012

Hesselink M.W., Rutgers J.W, Bueno Díaz O., Scotton M., Veldman M., Principles of European Law, Commercial Agency, Franchise and Distribution Contracts, 2006

Jing Z., Remedies for Breach of the Pre-Contract Duty of Disclosure in Chinese Insurance Law, 2017

Nancy. S. Kim., Relative Consent and Contract Law, 2017

Schermaier M.J Mistake, Fraud and Duties to Inform in European Contract Law, Cambridge University Press, 2005

Sickler Everhart. A.P., Recent Developments in North Dakota Contract Law, 2016

SMITS Jan.M., Contract Law, A COMPARATIVE INTRODUCTION, 2014

Stone R./ Devenney J., THE MODERN LAW OF CONTRACT, Eleventh Edition, 2015

სასამართლო გადაწყვეტილებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის #2ბ/4378-10 გადაწყვეტილება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2013-11 გადაწყვეტილება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის №1ბ/102-13 გადაწყვეტილება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის #2ბ/4219-15

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის #2ბ/1412-15

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის # 2ბ/4935-17 გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 11 აპრილის #3კ/210-01 განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 08 ნოემბრის #3კ-938-02 განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის #ას-829-1080-04
განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის განჩინება(ი 1276-აპ)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის 16 ივნისის #ას-
182-171-2014 განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის #ას-1342-1182-2010
განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 აპრლის #ას-447-424-2011
განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 მარტის #ას-1214-1159-2013
განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის #ას-1316-1254-
2014 განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის #ას-132-124-2015
განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის #ას -193-180-2015
განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 სექტემბრის #ას-884-2018
განჩინება;

Bisset v. Wilkinson (1927) AC 177, Privy Council

Central Railway Co of Venezuela v. Kisch (1867) LR 2HL 99,114)

Dekker v. VJV Centrum, (1990) ECR I-3941 (ECJ)

Derry v Peek

Dimmock v. Hallett (1866)

Notts Patent Brick and Tile Co v. Butler (1866) 16 QBD 778

Peek v. Gurney (1873) 8 LR 6HL 377

Schneider v. Health (1813)

Smith v Land and House Property Corporation, (1884) 28 Ch D 7

With v O'Flanagan (1936)

Smith v. Hughes (1871)

Spice Girls LTD v Aprilia World Service BV (59)

BGH NJW-RR, 1996, 1281, 1282

BGHZ, 78, 216, 221

ВЕРХОВНЫЙ СУД РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, № 304-ЭС16-20429, г. Москва
15 февраля 2017 г